# ცისკარი

## ტომი მესამე

**1859**

ოკტომბერი: წიგნი მეათე.

## ჩოდება თხზულებათა:


I. — ლექსები სხუა და სხუათა თანამედროვეთა მწერალთა.
II. — ხანიზდექ. . . . . . . . ი. ზერიმისა.
III — მასალა საქართველოს ისტო-
რიისათჳს. . . . . . . . ი. დოდაევისა.
IV — პასუხის-გება უ. არდაზიანის
კრიტიკაზედა. . . . . . ნიკოლოზ ბერძენოვისა.
V — საქართველოს საზოგადოება. თ. ალ. ჯ. ორბელიანისა.
VI — მარილის მოხმარება საქო-
ნლისათჳს. . . . . . . . დ. ხიმშიევისა.
VII — სხუა და სხუა ამბავი. (ნახე მეორე გვერდზედ.)



ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# არაგვი

(სიტყვით მოუწოდებ ა. ამირეჯიბი.)

---

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!..
ქართლის ცხოვრების მოწამეთ შენ ხარ...
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა განმშვენებული!
ჩემის მამულის დიდება ძველი
შენს მღვრიე თვალწინ აღყვავებულა;
მიყვარხარ მისთჳს რომე ქართველი
აქ, შენს კიდეზედ დაბადებულა.
შენ ზჳრთებ შორის ჩემის ქვეყნისა
ძველი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ დასხმულია.
აქ, სადაც შენსა მღვრიესა წყალსა,
შეურევ ხმოვან შავოთიან მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე დუღდა,

იქ მომავლისთვის ქართველთა ხმა ქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰზრდნენ სათაყვანენი
და სათაყვანეთ—იგი ქართველნი!...
გული-გული დაკოდვილი შენის მღვრიე წყლის
რომელნიც ჯერ ტანჯვით გაღვენთილი თვალის.
რას გეუბნები მე? ჩემს ქვეყნის წარსულის,
შენ წინ დაღუპულის ჩვენს ძველისა მამულის
და მართლა სახსრის. ჩვენს თვალის დაღალულის
აძლევდა ხოლმე გულის საგვდავ პასუხს.

ილია ჭავჭავაძე.

---

# ქართლის სალამი.

---

შორის ქვეყნიდამ მოშორებულსა
სამშობლო ჩემო! გიგზავნი გულსა,
შენს ერთგულს მონას, მსხვერპლადაც მზასა,
შენთვის ოხვრისგან დაწყლულებულსა.
მშვიდობა შენთან! სამშობლო მხარე!
ერთს დროს ჩემთ სევდათ მეიავარე,
რა რომ მოვშორდი სევდამ მძლავრ მძლია
და სიხარული მანდვე დავშთოვე.
ვაი თუ დავბერდე ყვავყუნსამდე?
ვეღარ გიხილო სანამ გლუნთქამდე?
უნდ უნუგეშოდ გავშმანს ვმონო

და ჟამთა ჩამქრალი მას უნდა ვჭვრეტდე.
ახლა ამ ქვეყანად გამიქრეს ზეცა,
ვეღარ ვიხილო სამშობლო მეტა!
ჩემი საყვარელი, მხურვალე გრძნობა
ამაო იქმნეს, აღწყდეს იმედი!
უნდ სიკვდილამდის ვეგდო ამ მხარეს,
სევდასა შესვენებლად ცრემლის ვღვრიდე წყაროს,
სად ვერ ვსჭვრეტ ვარსკვლავს, მთვარე მქრქალია,
დღეს ბნელი ჰფარავს მის არე მარეს?
წყეული გრძნობავ! მღეროვ უამღერს?
არ მრწამს, სამშობლოს გამომამეტოს!
ვეღარ ვიხილო? წყეული ვერ ვჰყურო?
მაშინ ჩემს გულსა ცეცხლი მოედოს!
არა! ვგონებკი მეღირსოს ნახვა?
ნახვა! რა ნახვა? ის იქნება სხვა!
როს მას ვემებსა დაქანებდეს
გასმიისცა და ქვეყანის ზღაჳ!
აღსდეგ სამშობლო! ბევრი გეძინა!
ვინც ვჭალში გდევდენ, გაგისწრეს წინა!
შენის ზურგების მეფენი, მთახერი,
რამ დაგაღონა? რამ შეგაშინა?
აღსდეგ მამაცად და გაიმართე,
თუ რომ იშრომებ, გზები გაქვს ფართე!
ცეცხლის გემები, რკინისა გზები
და ტელეგრაფი თამამად მართე!

როგორც შეჰფერის შენსა ბუნებას
ისე ამღლევდე შრომასა ნებას,
ხარბის თვალითა მიიტაცებდე
და ავრცელებდე მანდ განათლებას.
ჰხედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა?
ვით ზრუნავს შენთვის, გიმართავს ქელსა?
ეცადე ნაცვალის და მოთმინებას
შენ ნუ აკმარებ მას ცარიელსა.

წ.

1859 წელსა.
—სა ივლისს.
ს. პეტერბურღს.

---

# ანდერძი.

(ლერმონტოვით)

---

ცალკე მინდოდა შენთან მე ძმაო,
სალაპარაკოთ მცირეს ხანს ყოფნა:
მცირე სიცოცხლე დამრჩომიაო,
მეუბნება მე მთელი ქვეყანა.
მალე ხარ სახლში შენ წასასვლელი,
ფრთხილიკი იყავ… მაგრამ რა ფრთხილი!

უნდა რომ გითხრა შენ მე მართალი:
ჩემთვის არა სწუხს არვინ მალიან.
ხოლო თუ იყოს ვინმე მკითხველი...
ვინც იყოს უთხარ ვიყავ დაჭრილი,
ტყვია მქონიყო გულში გავლილი,
მითი მოკვდათქო მეფის ერთგული,—
და მომიკითხე ჩუენი მამული.
მამა და დედა, არა მგონია,
კიდევ დაგიხვდნენ შენ ცოცხალნია,
არ მინდავი რომ, საცოდავნია,
შეიქნენ ჩემთვის მწუხარენია.
მაგრამ მათგანი ცოცხალი ვინც იყვეს,
უთხარ ვმორჩილობ მე სიზარმაცეს,
მისთვის ვერა ვსწერ, ჰახოდ გამგზავნეს,
და ჩემს მოსვლისა აღარ ელოდეს.
ჩუენი მეზობლის ერთი ქალია,
იმას განვშორდი დიდი ხანია;
თუმც ახლა იგი რა მკითხველია,
მაგრამ რა უშავს უამბენია
თავით ბოლომდის სულ მართალია.
ცარიელ გულსა ნუ შეიშურებ,
დე მოუკიდეს ცრემლი მის თვალებ:
ცრემლით მე იმას არას დავაკლებ.

ზ.

# ბეთანია. (*)

ვუძღვნი თ. ზაალ ბარათოვს.

## I.

## მზადისი.

### გალობა I.

---

ახ! უყურეთ ამ ღამეს, რა ღამეა, რა ღამე,
თუ ვით მნათობს ლურჯს ცაზედ ათ-თხუთმეტის
დღის მთვარე!
სარ ჰარია ვარსკვლავი, სვამლი, მასთან სასწორი,
მიმავლობენ ნარნარად სავალი აქუსთ თუმც შორი.
მისთჳს რომე ისინიც შეცრვიან ცურვა მთვარეს,
რომელს ხედვენ რა ესრედ მეტად პირ-მომღიმარეს,
რმის ეზაზედან პლანიტნი ხშირად არან გაბმული,
თითქოს ერთობ შეკრებით ფერხისა აქუსთ დაბ-
მული.

---

(*) ტფილისითგან ოც ვერსზედ მდებარეობს ბეთანის ეკკლესია, აღშენებული თამარ მეფისაგან მეთორმეტეს საუკუნეში, ჩინებულის ვიზანტიის არხიტექტურით, რომლის მსგავსი იშვიათად იპოვება არა თუ ერთი ოდენ საქართველოში, როგორც გამიგია თითქმის ევროპაშიაცა; ეს ბეთანის ეკკლესია და მამული, რომელზედაც სდგას ეკკლესია ეკუთვნის თ. ბარათოვთ.

ბუნებას გსჭვრეტ თუმც კარგსა, ეს რა გრძელი ღამეა,
ნეტამც ჩქარა გათენდეს ხვალ გველის ბეთანია!
რა წყნარა მიმავლობენ დღეს ეს ცისა სხეულნი,
სუს! ეს რაღას აგვაწყდნენ ჭრიჭინანი ეულნი.
აწ მე გათენებასა მოუთმენლივ მოველი,
თუმცა მაცხოვრის მადლით ცა ჲ ქუეყანად ყოველი.
ეს მთვარეც დღეს! მიკვირს თუ რა წყნარიად მსვლელია,
ოჰ ნეტავი იცოდეთ ლოდინი რა მნელია!
აჰ! აგერ მოვიდა ფებმან განაღო კარი,
მლივს აღმოხდა ცკვიცათა დილის მთხრობი ცისკარი.
მღუდელო! აღსდგა! მაგდენი მილი ვგონებ რომ კმარა,
ვიდრე გათენდებოდეს, მოვემზადნეთ ჩუენც წყნარა.
წუხანდელნი სტუმარნი ჩუენნი ემზადებიან,
აღსდგა ესე! მგონია ცხენნი ეკმაზებიან.
მღუდელო! მამაჳლობას, შენც მზათა ჰქმენ ხურჯინი,
პირველად შიგ ჩააწყე სალმრთო ჯვარი ჲ წიგნი.
ეგ ყველას ჰსჯობს, ეგ ყველას, ესრედ გამიგონია,
ჩუენთ წინაპართ ჰქონიათ საღმრთოთ ეგ გარმონიად.
ნურცა თუ დავუცხრებით ჩუენის ლხინის წამალსა,
მისთვის რომ არ შვენის ღმერთის ბახუსის მალსა.

შემდგომს უზუნჯლოთა გამგზავრდეთ და მივი-
დეთ,
ჯერ მხურვალედ ვილოცოთ, შემდგომს ნურც
მოვიწყინებთ.
მოვიგონოთ თამარი, მეფობა მის, ქმნილება,
რაღას მტანჯავ. აღზდექი, მაკმარე მოთმინება!..
და, მღოივს აღზდგა ხუცესი, მაგრამ ჯერ იზმორება,
ამხანაგიც მოვიდა ქალსა ეამბორება.
კაციც მოდგა ცხენები ჩუენ წინ წამოაყენა,
გული მიცემს და ვფიქრობ: ნეტამც ჩქარა მაჩვენა!..

II

გამგზავრება.

გალობა 2.

---

ცხენს ავმხედრდით, მივდივართ, მივალთ, მივე-
შურებით,
ზოგნი ტკბილის საუბრით, ზოგნი მიღუღუნებით.
მწყემს საამოდ მოუდის მანდორზედარ ნასირი,
თითქოს ბანსა გვაძლევენ რა აქუსთ ერთობ ზა-
ხილო.

მთათგან სიო მოჰბერავს სენის წარმტაცებელი,
ჩუენ სიცოცხლის ფიალის მეტად აღმავსებელი.
თჳსის ფრთეებით ნასიოთ სმას გარემოსა მას მოსდებს,

ნაღარით ხმათა და ზურნით ხმათ ახლოს მთაწმინდას
მოსცემს.
მღუდელმან რა თქუა: «ალმართი დიდი გვიძევს
ჩუენ წინა.»
შარავანდი ამ დროსა მზემან მინდვრებს მოჰფინა.
ოქროს ფერად ვარემო თვისის სხივით შეღება,
ნაკადს მოხვდა სადაცკი მისცა მას ელვარება.
მინარეთთა მცენარეთ თავნი ერთობ აღილეს,
ველთა ზედან ყვავილთა მშვენივრად გაიღიმეს.
აა, მივედით, მივმართეთ მთასა მწვანით მოსილსა,
წინამძღვარი ხუცესი გვირჩევს ნუ იქმთ ფორ-
სილსა.
შევუდექით ალმართის გზას, და ამასთან ქვანსა,
ვარნა ოთხკუთის მწვანიანს, მეტად ტურფა ტყეიანსა,
ხან აღვალთ და ხან ჩავალთ, აქა-იქ ვიყურებით,
ვხედავ ხშირად ტყეს შიგან მგელნი, ზოგან
ტურები.
ას წლოვან ხეთა შორის რქა ირმისა ედია მირს,
ოხრავს დატოვებული პატრონისა ხვედრსა სტირს.
ხუს! გაჩუმდით! ამ ტყეში ეს ვინისი ხმა ისმის,
მის ხმაზედან შეხედეთ! ფოთოლიცკი ხეზედ თრთის.
გულამოსკვნით ვიღასაც გამწარებით დასტირის,
ხან მაღლად და ხან მდაბლად ხმებითა გაჰკივის,
უთუოთ თქუენმა მზემ! ბულბულია, ბულბული,
ხედავთ ყვავილთ, მის ცრემლით არიან დათრთვი-
ლული,
ტყესით წყეულს მებალეს გვონებ გამოუგდია,

ვარდის განშორებითა რა ცრემლი დაუღვრია,
ადგილართ და თან გვსინჯავთ ბუჩქში, ნეტავ სად არი?
ვხედავთ ბულბულის საყვარელს ხეზედ არს შემომჯდარი.

მეც გული ამიტირდა, მივალ ცრემლითი წინა,
აჰ! გამოსხლტა კურდღელი წყეულმან გამოფრინა!...

ჭალით ჭალით, ადგილართ, ადგილით, აღმურებით,
ხან აქეთ და ხან იქით კმაყოფით ვიყურებით.
ვხედავთ აქა საყდარსა, საყვარელთ დამწყნარსა,
იქ მწვანეთ ფოთოლთ მუა საყდარს კალად მოგარსა.

ზოგან კოშკსა, ზოგან მეფეს, ზოგან მეფეთა ნასასხლართ,

ეს ყოველი გვაგონებს საყვარელთ ჩვენ წინაპართ,
მათ წინაპართ, რომელნი მას ალაგს დგომილან,
თავიანთ დროს ისინიც კმაყოფით განცხრომილან.
თუმცა რომე იგინი მტერთ გარემოუცვია,
გარნა სარწმუნოებას ქრისტეს უხვად დაუცვია!...
წვერს ავლით! ვიკვირვით, მყისითვან გვხვდებიან რა მოისა,

მარცხნივ ციხეს ქართლელის, მარჯვნივ ვხედავ ბირთვისსა,

წინ მოჩანან სოფელნი, აქა-იქ გაბნეულნი,
საველე მზეუასად მათ მუა გულნი გამწვანებულნი,
ზოგან თეთრად და ზოგან წითლად, ყვითლად ქცეულთა,

თვალი ვერ გადასწვდების საგანთ ღმრთისგნით
შექმნილთა!
მაღალ მიუწვდის: კორტით, მწვერვალთ ზეცნ აწ
ალპთა რასა,
წინამძღვართ გავუძღვეთ გვალად მაღლდების გზისა!..
ეს რას ვხედავ! სად ჩავალთ? ქვესკნელს მივალთ
თუ სადა?
უცნაური ჩვენ თვალით წინ, მწვერვალე ვარდა
ვარდნილსად!
რამდენს ბიჯსაც ჩამოვდგამთ იმდენს მივალთ
აწ ძირსა,
ცხენნიც ნელად იცოდეთ მიეცნენ თუ ვით მძიმსა:
ქედში ცურვით ჩავყვებით, ურემს მისა ჰკიდებენ,
სან იღრძებენ ვეშაპსა, სმა რად რა მოიცვებენ—
არარა გვაქვს მეტი გზა, უნდა დავუყვებოდეთ,
წყნარის სიარულით ცხენთ მისას მივსწევდით!...

III

ზინაზედ მისვლა.

გალობა 3.

---

ჩავალთ, ჩავალთ, ჩავდივართ, ჩავალთ თითქოს
ქვესკნელსა,
ვინღა ხედავს აქ კაცსა, ვინღა ხედავს აქ ველსა.

ცოტ-ცოტათ იფარვიან ცანი აქ ჩუენთ თვალთ წინა,
მხოლოდ ვხედავთ ჭმუნვით სვეთ, თითქოს გა-ჰქონან გმინა.
არსით ისმის ხმა კაცის, სრულიად გარემოება
დუმილს ესრედ მოუცავს რომ მეფობს მყუდ-როება.
ხენი, ბუჩქნი, ჯაგნარნი თუმც არან შეფოთვ-ლილნი,
გარნა ერთობ არიან სრულიად თავდახრილნი,
თითქოს ესე წინათვე, რაღასაც რას მოგვითხრობს,
გულში ესე სურათი მეტის მეტსა ჭმუნვას შობს!..
გადავხედეთ! ვუმზერთ ძირს! ძლივს, აჰ ვნახეთ ტაძარი,
ორთ ფიალოთ კლდეთ შორის! ეს რას ნიშნავს, სად არი?
სიმგვრგვლივ ტყენი მწვანენი, ტაძარს ვითა ლამ-ქარი,
ახვევიან, იცავმენ, ციხე აქვსთ მათ მაგარი,
მივალთ მისა ძ ახლოს, ვნახოთ ღუთისა სადგომი,
ბეთანიის ტაძარი, დიდხნით ჩუმენით ნანდომი!..
წინ ვერ მივალ, ვერ ვბედავ, აქ ბძანდება თამარი,
ვერ ხედავთ მოგვეგება წინ მის წყაროთ მცინარი?
ბატონს უყვარს ქართველნი, ქართველური მას წესი,
რომ ბატონს ყმა იახლოს, წესი არს სასახლესი:
თოფ-იარაღში ჩამჯდარი, ყურთ-მაჯ მაღლა შეყრილი

ოქრომკედებრ ულვაში მამაცურად გრეხილი;
სირმით მკერდი ნაჭედი, გულისპირი წითელი,
ქუდი გვერდზედ, ხმალი გვერდს, მაშინ წყალო-
ბას ელი;
გულზედ ჴელნი დაიწყო, რა მეფე დაინახო,
სიყვარულით და შიშით თავი მისს მოუხარო.
ხურჯინისგნით მოილო შემდეგომს ნაზუქი ნამ-
ცხვარი,
რა მიართო, მან დაგხვდეს მეფე უხვად მღიმარი,
აწ რას ნახავს ჩუენშია, მეფე რა დაგვინახავს,
არც კაბა გვაქუს, არც ხმალი, ქართველს რასა
მიგვიგავს.
გარწმუნებთ, დაგვინახავს, გაგვიწყრება თამარი,
თუ გამიწყრა ვიყო მე მირჩევნია რომ მკვდარი!..
რას ნიშნავს? ხმა არ ისმის! სად არის აწ პატ-
რონი?
ნუ თუ აქ არ ბძანდება საყვარელი ბატონი?
მო, მივადგეთ ფალავანს, ვსცნათ თუ სადა ბძანდება,
მეფის მეფის სურვილით მე თვალნი მელანდება.
მივადექით კარებსა, რომელზედ არს სამრეკლო,
რომლით ადრე და აწცა ფალავანი ფარს ეგლო
და რას ვხედავ? ზოგს ალაგს კარნი ჩამოქცეულან,
სად ფრინველნი ხალხისა ნაცვლად დამკვიდრებუ-
ლან.
სრულად გარემოება მეჯდრობას მოუცვამს,
ეს სასტიკი სოფელი ვარს სასტიკს ნამგალს უსვამს.
ფალავანში, სად ლხინი თამარის წინ ფოფილა,

ის ალაგი აწ მგელთა სადგურადა შექმნილა,
მტკვრისა აწცა სდის ნასახავთ მისი საკვირველი,
განკვირდებით და იტყვით: ვინ მოსთა მას კლდე?
გიგანტის კლდოვანნი თავნი აქ მოუყრიათ,
მეფისათვის დიდ გრძნობით მათ თავნი მოუხრიათ.
შემდგომს უფლიათ კლდე, ვისაც რა მისვლებია,
თვითეულს ქვას ჩუქურთმა ცვილივით დაუჩნია.
ადგილებულა ტაძარი რა მეტად მშვენიერი,
მათ ჭყურლიათ მორჩილად მაღლი მისი ზეცვენი.(*)
მარცხნივ მხარეს უხატავთ მშვენიერი თამარი,
მშვიდი, წყნარი, ნარნარი და პირად მომღიმარი!..
მო, შევიდეთ და დავსტკბეთ მშვენიერის სილვითა,
იქნებ კიდეც რომ დავსტკბეთ გიზანტიურ წირ-
ვითა.
მაგრამ რა? ვსტკვრეთ მეფისა, ღუმილითა მდგო-
მარეს,
აწცა გვესმის ეკრეთ ვით თხუთმეტის დღის
მთოვარეს.
ადრე აქა მგალობელთ საღმრთო წესი ისმოდა,
მათის ხმითა ტაძარი სრულიად იძროდა.

---

(*) იტყვიან, ვითომც თამარ მეფის მასალა რა შეუმზადეს— ბია მტკვრისის აღსაშენებლად, ქვითკირის აღშენებანი ზღუდით, მაღლობისეულ, მაგრამ, რამდენიც შეუმზადებიათ, იმდენი მტერ— დთა გული დასხმია და ჩაუცვანია ქვემოთ სასინელ ხევში, სადაცა აღუშენებია ახლანდელი ტაძარი ზენარის რჩევით. ტაძარი ესე არის ვიწროთიანი და მტკვერის მტკვრისას არ ჩამოუგა სიდიდით, მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ თვით— თლი ქვა გადლებისა მშვენიერი ჩუქურთმებს.

ახლა გალობის ნაცვლად ზოგჯერ ფრინველთ ხმა ისმის,
არც ვინ ხმას გვცემს, არცა ჰსცემ, არცღა ტაძარი იმერის.
აქ რამდენჯერ ვინ იცის, რუსთველს უმართავს ქნარი,
და ზედან შეუმკა ქართველთ მეფე თამარი;
აქ რამდენჯერ ვინ იცის მეფეს ჰქონდა ლხინობა
და ბანოვანთ რამდენჯერ აქ ჰქონიათ ყრილობა;
აქ რამდენჯერ ყოფილა ქართველთ ერი მრავალი,
უხსნიათ ქართულად ერთობ იარი_იარალი,
ვის ვკითხო რომ მომიღოს ადრინდელი დროება,
მაშინ, როდესაც მეფობს ერთოდენ მყუდროება!...
მაშ მო ღვთისა ტაძარო! მომიგე მოკლედ შენა,
ოდეს მობძანდებოდა თამარს სად ჰქონდა ბინა?
ოდეს მობძანდებოდა მას თან ვინ მოჰყვებოდა,
ან თუ შენის მსახურთგან წინ ვინ მიეგებოდა?
ან ყოველთვის თან ახლდა თვის მგოსანი მას მარად,
თუ რომ მომორდებოდა მობძანდებოდა როცა;
შენ შორის საღმრთო წესი პირველ ვინ დააწესა,
მეფეს გარდა სხუას რომელს ჰსახავდი შენდა მწესა.
ლიტურღიად ჰსდგა შენდა პატრიარხი როს კრებით,
ვგონებ თამარ თუ ვით ჰსდგა, კრძალვით და მოწიწებით?
მას დროს ენთო ვინ იცის თუ რამდენი სანთელი,
არა ეგრეთ, როგორაც აწ არ ანთია არც ერთი.
ნუ ინებებ ტაძარო ნუ გაქვს შემუნვით დუმილი,

აღმასრულე შენს უღირს მსახურს, მონას, სურ-
ვილი!..
საღმრთოთ სასლი არ მეყვის ხმას, მაშ მოისმე
შენ ქნარო,
გული გრძნობით აღსავსე შენზედან დავიმტკბარო!
შენცა მუზო კეთილო, ჰყურე გარემოებას,
და ხუწუკებრ მსურვალედ დამღერე ამოებას:
ცელი ცელავს სოფელსა, არ დაზოგავს არ ვის
რასა,
თითქოს მწვანილს ბალისას, თითქოს ველზედ
თივასა.
ვინც მოხვდება მწირაულ მოჰკვეთს, ის არ
დაზოგავს ყვავილსა,
ნეტამც მაინც მცირედიც ჰკავდეს რითმე ცხა-
ვილსა:
ქუწყნის მნათნი მანათნი სოფლის ცხრილში
რჩებოდენ,
და ქვეყნის მაგრებულნი მას შორის გასცვივდებოდენ.
არა! ჰსცელავს და ჰსცელავს, ცელი სასტიკ
მკვეთელი
არც დიდს დაზოგავს, არც მცირეს, ერთ არის მუნწო
და ქველი.
მას მოხვდება ტაძარი მშვენიერი, დაანგრევს,
მავზოლეი ფრიადი, იმ წამს მტვრით დააქცევს!..
ვილოცეთ, გამოვცდილოთ, ვსწედით შემუნვით ვალა-
ვანს,
რომელი ემზევავსება სიკეთით სავსეს საგანს.

აქ ქართულად დავსხედით, თითქოს რომე თამარი
გვმასპინძლობდა,—თავს გვედგა ფოთოლთ ცფურ-
ფა კამარი.
გვსამდით სულთა ნუგეშად, ვიგონებდით დროთ
წარსულს,
თვალნი ემზევავსებოდენ დილის მცენარს დანამულს.
აქ დავმსხდით ქართულად, ნამდვილ მამა-პაპურად,
რადგანც თამარს უყვარდა უფრო მწვად კახურად.
ერყემო მთაა, ცხამარი, ერთბამ ხმას მოგვცემდა,
ქართული ჰარმონია ჰარემოსა მოსდებდა.
მოგვანიჭა უხვათა რა ბახუსმა ჩუჩნე მალა,
გვსალმოთ ამ ლხინის სადგომს, გვსთქვით დრო-
არის აწ ახლა?...

---

## IV

## დაბრუნება.

### გალობა 4.

---

მოვალ, მოვალ, მოვდივარ, მოვალ მოუთმლუ-
რებით,
თან ჭმუნვით და თან ოხვრით უკან მივიყურებით,
მოვდივარ და სრულიად ჩემი გული, გონება,
მშვენიერს ბეთანიის წარსულს დროს ჰმონება...

მოვალ, მოვალ, მოვდივარ, მოვალ და ვალ ვით მწირი,
მოვალ ჭმუნვის ღუღუნით, ჭმუნვით სოფელს მოვსტირი!...

ი. კერესელიძე.

1859 წელსა.
15 ივლისს.
ს. ზოვგს.

---

# ხანიზღექ.

## თავი მესამე.

---

დაბალი ქვითკირის ციხე, და მასში ორი, თუ სამი თითო ატაჟიანი ქვს და ხის სახლები, გვერდზედ მოდგმულის პატარას ბაღით, ამაყად გადაჰსცქეროდენ მდინარეს ლიახვს, ვითა დღე ყოველი მოდარაჯენი მოულოდნელთა მტერთ, რომელთაც შესაძლო იყო რო, ოდესმე, ალყულობისაგამო, გეებედნათ ჯავის ყულოობის შეჰრყევა, და გარემოდგომა მისი სამტროდ.

იყო საღამო და დამშვიდებულის ჰაერისაგამო, ზოგიერთნი იმა სახლების ფანჯრები იყვნენ გაღებულნი სიგრილისათვის, რომლისა ეზოში, იქ მყოფნი სალდათები და დონის ყაზაკები დადიოდენ თავისუფლებით [illegible] მხოლოდ პერანგის და ნიფხვის ამარა, და საქ-

მობდნენ თავის საკუთარს საქმეს.

ერთს ამ ფანჯრებთაგანში, რომელიც ეკუთვნოდა ავიცრის სადგომს ქვს სახლს, მოჩანდა ერთი პატარა სამფეხა სამოვარი ზედ შედგმულის მაზედ პატარა ვარაყიანი ჩაინი-კით, საიდამაც ერთი თეთრ კიტელ ჩაცმული რუსის დენშჩიკი ასხამდა ჩაის სამს ბროლის სტაქანში, რომლებიც იყვნენ ჩამომწკრივ-ებული ვერცხლის კოვზებით პატარას ყუშტის პოდნოსზედ, დებულზედ იქვე სამოვარ წინ.

პოდნოსი იმ, ღოსპოდა! მიიროვით, გთხოვთ უმორჩილესად, ჰსთავაზობდა ამ სიტყვებით ერთი ახალგაზრდა მუჯათანის ტანის რუსულად ჩაცმული, ავიცრის ჰაგონებით ყმაწვილი კაცი, ორს თავის სტუმარს, რომლებიც გარშემო უსხდენ წვრილის ტაბურეტკებით ერთს უბრალო ხის სტოლს, გადაკრულს შავის კლიონკით, და დგომილს იმ ჟამად ერთსა მოდიდო ოთახში, რომელსაც ორი მინის დიდრონი ფანჯრები ჰქონდა გადებუ-ლი ეზოს მხრივ.

სუთი თუ ექვსი დასავლეთის მხრივ კე-დელზედ მიკრული წვრილი ჩარჩოიანი სხვა და სხვა კარტინკა და კიოტს უკან კედელ-ზედვე აფარებული პატარა ხალიჩა, რომელ-ზედაც ეკიდა ერთი ქალი საჯაუკაცო იარაღი და მასთან ორიოდე ევროპიის და აზიის საკრა-

ვეზი, იყო სრულიად იმ ოთახის მორთულობა, რომელსაც არა მცირედ აშვენებდა ერთი პატარა თეთრი ტილო გადაფარებული საწერი ჰსტოლიც, რომელიც იდგა კრაოტს წინ და ეწყვენენ მაზედ სხუა და სხუა რუსული და ქართული სამეცნიერო და საკითხი წიგნები, რომლებსაცა, ვითა გუმაგნი. ისე ამაღლად და კოხტად დასცაქერიდენ ზემოდამ თეთრი კარ-ტოვილის სანთლები, ჩარჭმულები ზედ ჩამოცმულის ლიურაჯის მინებით ორს პატა-რა ვერცხლის შანდანში.—

ვოტ! ის ჩერედ მოია, განაგმო მანვე, და გაიწოდა ჴელი ფოდნოსისაკენ, საიდამაც გადიღვა თავის წინ ჰსტოლიზედ ჩაით სავსე სტაქანი, და ამოიღო შალვრის ჯიბიდამ შავი საფიანის ბუმაჟნიკი, რომელიც გახსნა რა, შეაძლია. ჰსტუმრებს, მანიშნებულმან თვალით წყობილის მასში ენფიანჯიანის მაგაზიის პაპიროზებისა შემდგომის სიტ-ყვით: ღოსპოდა! ნე უგოდნო ლი პოკურიტ, და ვინემ ამ სიტყვას გაათავებდა, მიიბრუნა თავი კარებისაკენ, და შესძახა. პოდაი, ნამ სვეჩუ, და იმავე წუთს ეენთო მათ შუა მოხსნებული ჰსტოლიზედ ერთი კარტოვილის სანთელი, საიდამაც მოუკიდეს მათ პაპირო-ზებს, და დაიწყეს ჩაის სმა და ერთმანეთში სხუა და სხუას საგანზედ ქართული საუბარი,

ადგილი, ადგილი აჭრელებული რუსულის ენით.

უდივლიაიუს ეი ბოგუ! დაიწყო ერთმა იმ სტუმრებთაგანმა, რომელსაცა ეცვა შავი ჩერქესკა, და იყო ხნით მასპინძლის ოდენი, რომ ზოგი ერთი ადგილობრივი მთავრობა ასე სუბუქათ და დაუდევნელად ეკიდება თავის თანამდებობასა. არ ვიცი გაიგეთ თქვენცა, თუ არა! რო ავაზავებს, ამ დღეებში ბევრი უგვანი და კანონისაგან მოუთმენელი უწესო საქმეები უქნიათ ყორნისის და საბაყოსაკენ, სადაც რამდენიმე მგზავრები დაუცარცვიათ, და მათგანი, რომელიც არ დანებებია, კიდეც დაუხოციათ. ჩორტ ვოზმი! პოსლე ეტოგო მგონი რო უკაზნიოთ ვეღარცკი ვინმე გაიაროს იმ გზებზე. ნატურალინო ჩტო პრი ნასტოიაშჩემ პოლიციესკი დელი, უ კაჟდაგო კტო ბი ონ ნი ბილი, ნე ვოლიო სორვიოტსა სიაზიკა ნეღოდოვანიე ნა N.... ნამეტნიკად ადგილობრივზედ, რომელსაც ის, ბოგ ზნაეტ ოტ ჩეგო სდელალოს ტაკ ნევნიმატელნო კ სტოლნამ ბედნიმ ნაროდა.

უვერიაიუ ვას, განაგრძო მანვე. სამის დღის მეფობა რო მქონდეს, მგონი რო არც ერთი დიამბეგი აღარ დარჩებოდა მთელს იმპერიაში, რო არ გამესალდათებინა.—პრედსტავტე სებე, ეს უგვნები იმას ხომ აღარა

ჰფიქრობენ, რომ თანახმად კანონისა დაამკვიდრონ თავის სახლში სიმშვიდე და მყუდროება, მოჰსპონ ავკაცობა და ქურდობა, იქონიონ მღვძარება გზების კეთებაზედ, რომ ხალხი არ შეწუხდეს, დაიფარავდნენ შეუძლებელს და ქვრივ ობლებს მძლავრობისაგან, დააწესებდენ მათის უვნებელობისა და კეთილმყოფობისათვის საჭიროს ადგილებში საყარაულოებს, და ერთის სიტყვით იქცეოდნენ ისე, როგორც ჰსჯული და თვით პატიოსნება ითხოვს. აჰ! შენ არ მომიკვდე ნურა დროს ნუ იფიქრებთ, იმათ ყური გაიბერტყონ ამისთანაებზედ, რადგანაც გამოცდილებითვე იციან, რო წმინდა წყალში თევზი ძნელად დაიჭირება, და აჰ! ეს გახლავსთ მიზეზი, რომ ბევრი ამ უფლებათაგან მალიათაც ურჩევენ თავის ხალხს დომხალივით, რომ ეგებ ამღვრივდეს და ნადირობა აუცადი იყოს.

მაგისი რა მოგახსენოთ, ღიმილით ჩამოართო სიტყვა მასპინძელმა, მაგრამ რაც მე ამბავები გავიგე ამ ერთის კვირის წინეთ კნიაზ N... ას სახლში, სადაც ლაპარაკობდა ერთი პატიოსანი თვით ყორნისშივე მცხოვრები მანდილოსანი, ის რო გიამბოთ, სწორეთ ყურებში თითს დაიცავთ.

როგორ გასაკვირველი არ არის, ერთი

იფიქროთ რომ ჩუჱნ განათლებული მეცხრა-მეტე საუკუნეში, როდესაც დიდ რუსეთიზე-დაც რომ აღარა ვჰსთქუათ რა, თჳთ ჩუჱნ მეფის იმპერიაში ხდება მოულოდნელი ცვლილება, რომ შავი ზღვიდამ, ვიდრე თეთრ ზღვამდე აშენებენ რკინის გზის გაკეთებას, უნდა აღმართონ მოკლეს დროში სხვა და სხვა გამოჩენილთ პირებთათჳს ძეგლები სახსოვრად მათდა; არიან დღესაც თჳსს მოქ-მედებაში დილიჟანსები და ტელეგრაფები. გაიხსნენ უზენაესი სამხედრო დეპარტამენ-ტები. დაწესდნენ სხვა და სხვა სამეცნიერო და სასარგებლო საზოგადოებები, აშენებენ თჳს დროზედ უნივერსიტეტების და აკადემი-ების გახსნას. გამოიცემიან უკლებლივ გა-ზეთები და პერიოდიჩესკი წიგნები და ჟურ-ნალები. განვრცელდენ სხვა და სხვას ინოს-ტრანნის ქვეყნების მაგაზიები და გაიხსნა ტეატრი, სადაც თითქმის რომ ყურსაც აღარა ვინ უგდებს რუსულს წარმოდგენე-ბებს, რადგანაც იტალიის ოპერა მიიზიდავს ყოველის კაცს. ერთის სიტყვით, მოკლედ უნდა ვსთქუათ, როდესაც ლამის არის რომ კიდეც აღსრულდეს გრაფ სოლოგუბის წინასწარ მეტყველება, შესახებ ტფილისის ქალაქის ცვლილებისა, რომელიცა გამო-ხატა მან თავის კომედიაში, პოდ ზაგლავიემ:

ტიფლის ჩერეს ტისიაჩუ ლიეტ!! მოგახსენებთ, ამისთანას განათლებულ დროს, ყორნისის მახლობლად მცხოვრებნი: თავადნი, აზნაურნი და გლეხნი, თურმე ერთ პირად და ჴელშეყუ-ვალად ამლეგვენ იქ მოზღუდართ ავაზაკებს ხარჯეს, და......

ოხ! კნიაზ, ეტო ჩტო ტო ნე ტაკ, წაართვა სიტყვა პირიდამ მეორე სტუმარმა იმასავე ხნის ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც ეცო თეთრი ჩერქესკა. ნე იღრალი ლი-ვ ტომ პოჩტენნაია რაზვალინა როლი ავტორა ტისიაჩი ოდნოი ნოჩი ა! კნიაზ, კაჟეტსა ჩტო ია უღადალ, ატო სოღლასიტეს სამი, ჩტო ვპოტავნომ სლუჩაე, როგორღაც ძნელად დასაჯერებელია. ვჰსთქვათ რომ ამგვარი უწესობა და უგვანობა, გლეხებს შიშით და თავის სიძაბუნით მოჰსდიოდეთ მაგრამ, როგორ დავიჯეროთ, რომ ამ საქმეში იმათ ჰბაძავდენ თავადნი და აზნაურნიც, მაშინ როდესაც, ამ უკანასკნელებთ თავისი ღირსება არას დროს ნებას არ მიჰსცემს, და ესეცა, რომ იმათ იმოდენი შეძლება კიდევა აქვსთ, რომ განსდევნონ ის უმზგავსოები თავის ძალითაც თვისის სამძღვრიდამ და ან ჩახოცონ; მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ მართალიც იყოს და იმ სწავლულებს ჰქონდეთ რამე პატივსადები დამამტკიცებელი მიზეზი,

ანუ თუ არა და, იქაური ადგილის მდებია-
რობა აიძულებდეთ მათ ამისა ქმნად. ჭეშ-
მარიტად მართალი უთქვამს ანგლიის დიდ
პოეტს შეკსპირს, რომ ქვეყანაზედ და ბუნე-
ბაში ისეთი საიდუმლოებია, რო ჯერ კაცმა
სრულიად არ იცის ისინი, ვითარი აზრიც
გამოხატა მან ჰამლეტის გორაციოსთან ოფე-
ლიას საფლავზედ საუბრით, მაგრამ ესეცკი
უნდა ვჰსთქვათ ღმერთის წინაშე, რომ ეს
ავაზაკები, თუ მეტის მეტად არ დაამალაშე-
ზენ, თითქმის რო მიუწვდომელნიც არიან,
ნამეტნავად პოეზიისათვის, რომელიც შესამ-
ლოა დაამტკიცოთ იმით, რომ დღესაც
დიდის კმაყოფილებით კითხულობენ მრავა-
ლნი განათლებულნი საზოგადოების ქალნი,
თუ კაცნი ვენეციის რაზბონიკის ფრადიავო-
ლოს ცხოვრებას, რომელსაც მეტსე ნაწი-
ლიდაც არ მიემსგავსებოდა ჩუენი კავკასიის
რაზბონიკი არსენა, რადგან იმას იმოტენი
არა შეემლოთა, მაგრამ ესეც კია, რო
საქართველოს ურიეებს, ესეც თითქმის
ჭირივით მიაჩნიათ არსენას სახელი, როგორ-
რაიც მკაცრის მდევნელისა, რომლისა ზმანე-
ბითაც რუსულის ადლითან ერთი დიდი გრძე-
ლი ჯოხიც უნდა ჰრჭმოდათ კისერში,
რომელსაც არსენას ადლს უძახდნენ, და იმითი
იძულებულ იყვნენ მიეყიდნათ ფარჩა ხოფ-

ტკბილი გულის დედაკაცებისათვს.

ნუ! ის ჭირისტყვე წაართვა სიტყვა გაჯავრებით მასპინძელმა, განა ღირან ის პადლეცები იმათ, რო ამდენი ხანი იმათზედ ვილაპარაკეთ. შაბაშ! ნაჩინაიტე ჩტო ნიბუდ დრუგოე. ჰა! მართალი გაიგეთ თქვენცა თუ არა! რომ ჩვენს პოლკს, რომელმაც უკან ჩამოიყვანა მთელი ევროპიის პროვინციალნი პოლკები, ესე იგი კნიაზ მ... რაღაც ყუცარი პრიკლიუჩენიე შემთხვევია. ახ? აგერ თითონაც.

ა! ვაშე სიატელსტვო, დავნო, დავნო, ვას ნე ვიდატ, შეუძახა მასპინძელმა და წავიდა კარებისაკენ მისაგებებლად.

მოე პოჩტენიე ვაშე სიატელსტვო. ზდრავსტვუიტე კნიაზ! მოისმა რიგ რიგით სტუმრების მხრივ, რომელნიც მიესალმნენ შემოსულს მ...ს ერთპირად.

ეი! ტი, პოდაი ნაშემუ დოროგომუ გოსტიუ ჩაი, დაუყვირა მასპინძელმა დენშჩიკს და მიუბრუნდა კნიაზ მ...ს შემდგომის კითხვით: მართალია კნიაზო, რომ რაღაც პრიკლიუჩენიე მოგსვლიათ წუხელ?...

ნამდვილად მიუგო კნიაზ მ. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ვერავითარი კი ჩემდა სასარგებლო პრიკლიუჩენიე გახლდათ. ეშმაკმა, დაიწყო მაინც, გუშინ საღამოს როგორღაც

ავვუნებათ შევიქენ და სულის უზუსაფრთულოად გიახელი ლიახვის პირს გასასეირნებელად. და ნუ ზმანებთ, რატო ისურს ფიქრებში არ შევსულივარ, რომ ველარცკი გამიგია დაღამება, და როცა მთვარისა სხივებმა აქა_იქ დაუწყეს დევნა სიბნელეს, და მანდილიდა გრძნობით მემხარა მთვარის ამოსვლისათვის, ამ დროს, ჰრედსტავლდე ხეზე, თავსვე წამომდგომოდენ რაზმონიკები, და კიდევ ღმერთმა ამით მიბრალა, რომ შორს შევასწარ თვალი, და მაშინვე კურდღელივით ბუჩქს ამოუჯექ.

ვოტ ისტინნო პოეტიჩესკოე პრიკლიუჩენიე, წამოიძახა შაჩერქესკაიამ, მაგრამ დიდათ ვწუხვარ, რომ ეტი მოშენიკი ნე დალი ვამ დოკონჩიტ ბესედუ სნიმი!..

მართლია! წამოიძახა მასპინძელმა, იმ ცხრაში, ყველა რომელის ეალერსებოდით კნიაზო, ურანიას, ასტრონომიის ღმერთსა, თუ მელპომენეს, რომელსაც ტრაგედიის ღმერთად უწოდებენ?....

ნეუჟელი ღოსპოდა ნე ზამეჩაეტე, ჩტო, დაიწყო თვით ჩერქესკაიამ, ამ ჩემის კნიაზს, იმ შემთხვევაში, ჰსწორედ მელპომენას მუხლებში ჰქონია ჩაყოვილი თავი, სადამაც იმ შეჩვენებულებს უცებ ბუჩქში შეუყოვნებიათ!....

სმეიტეს ღოსპოდა, სმეიტეს, ნო ია ზა

პოსმოტრელი, თქუჱნ რაღას იქმოდით ჩემს ალიაგს!....

თქუჱნ ადვილის, კნიაზო, ჰკითხა შავჩერ-ქესკიანმა; და რაზვე დოლგო ბილო პრიშ-პორიც პეღაზა ი უსტრემიცსა პრიამო ნა პარნას.

ვასმოშ დელო, ჩამოართო სიცილით მას-პინძელმა, ვი კნიაზ, კაკ ვიდნო იზ ვსეგო პოტერიალი პრისუტსტვიე დუხა, თორემ როგორ ვერ მოიგონეთ ეს საშუალება!...

ტემ ბოლეე კნიაზ, დაიწყო ახლა თითონ ჩერქესკიანმა, ჩტო ვი სიდია ნა პეღაზე ვესმა ლეგკო მოგლი ვოოროჟიცსაა ი პი-კოი, ჩტობი ნავესტი ვტის ზრიდიალ!...

პომილუიტე! წაართვა სიტყვა შავჩერქეს-კიანმა, ტოლკო ნე დოსტავალი ბი დვუხ ტოლკოვ: ორუჟენოსცა ი პრეკრასნოი დულ-ცინეი!...

ფუ! ჩტობი ვას... წამოიძახა კნიაზმა მ... და წამოხტა ზეზე ვოტ იმენნო ჩორტ მენია პოპუტალ ვამ ზაიტი!...

ნესმოტრიტეს კნიაზ, უპასუხა მასპინძელმაა ვედ მი ტაკ სგზე შუტია......

მერე კნიაზო, ჰკითხა შავჩერქესკიანმა, რით დასრულდა შესანიშნავი თქუჱნი და-მით სვირობა?...

მანამ პატიოსან სიტყვას არ მომცემთ,

მიუგო კნიაზ მ... რო აღარ გაიცანებთ ჩემს ლაპარაკზედ; მანამ აღარჯერს არ გეტყვით.

გამლევთ! გამლევთ! ერთ პირად შესძახეს იქ მსხდომთ, და ამის შემდეგ დაიწყო კნიაზ მ... როდესაც მე ამცილდენ, თურმე ნუ ზმანებთ, ის რაზმონიკები. იქვე ჭალაში დამალულან, და პატარა ხანს უკან მეესწროთ იქვე მახლობელს წისქვილში ჯავის კრასავიცას რო ეძახდენ, როგორ! ხანიზდექისათვს. შეჰსძახეს ერთ პირად ყველამ, დიდ სწორეთ იმისთვს, და იმის მეზობლის ოცის წლის ყმაწვილი ბიჭის თემსიროსათვს და და...

ნეყუელი კნიაზ! მართლა დაუხოცნიათ, წაჰსტაცეს ყველამ ერთ პირად სიტყვა. ახ? საწყლები, ვაჲ თქვენი ბრალიცა. მგონი რო ცოლქმრობის პირობაცა ჰქონდათ ერთმანეთთან მიცემულიიმ საცოდავებს. ახ! ახ!... და მართლა რო, ამ უეცარმა შემთხვევის მოთხრობამ, მართლად დაღონა ჩვენი მხიარული და მოცინარი ყმაწვილკაცები.

მოუკტ ბიტ ტოლკო რანენი, ი ესტ ეშჩე ნადეჟდა ვის სპასენიუ, ჰკითხა შემდეგ რამტენისამე ხნისა სიბრალიულით შავჩერქესკიანმა, ახ! საწყლები, საწყლები!...

და! კაკ ნე ტაკ, მიუგო კნიაზ მ....
ია ტოლკო ჩტო ოტტუდა, სადაც, ვითარცა ადგილობრივი დიამბეგი, ვიდექ შეუდექ

გამოძიებას, და პოლიციის წესით დავსინჯე დახოცილები პონიატების თან დასწრებით, რომლებსაც ხვალი ტირილის უკან კიდეც დაასაფლავებენ.

ღოსპოდა! წამოიძახა მასპინძელმა, ნუ პოიტი ლი ი ნამ ტუდა, ჩტობი პოსმოტრეტ კაკ იხ ბუდუტ ოტპევატ.

პრეკრასნაია მისლ, მიუგეს სხჳათა, უთუ-ოთ წავიდეთ, და ამ დროს ერთმა მათგანმა დახედა რა უბიდამ ამოღებულს საათს, შეჰს-ძახა, ღოსპოდა, უჟე ოდინადცატი, ვოტ ბილო ზაღოვორილი, და მაშინვე დაუწყეს ქუდებ ძებნა შინ წასასვლელად, რომლებიც გამოეთხოვნენ რა მასპინძელს, რომელიც სთხოვდა იქ დარჩენას ვახშმათ, სადაც არ დასდევნენ სხჳა და სხჳას მიზეზით, წავიდნენ თავთავის სადგომისაკენ.—

---

# ხანიზდექ.

## თავი მეოთხე.

---

ვაჲ შენ დედასა შვილო, მწუხარებით გამოზრდილო და მწუხარებაშივე შენი ყმა-წვილი ქალობის დამღამებელო! ვაჲ ჩემს

სიცოცხლეს, რომ აქამდენ შენი უნახავი ვბდი-ვარ, და ყოველ დღე შევცქერი შენ გზას! შავ და უკუღმა ის დღე, რომელსაც ისე უდროოთ მოგვლიჯეს ჩემის გულიდამ და შეუბრალებლივ მიგიგდეს იმ სისხლის მღვრელ კაცს! ნეტა ვინაა ისეთი ღვთის მოყვარე კაცი, რომ შემაცდუნებინოს, თუ როდის შესრულდება ეს ბედშავი წელიწა-დი, რომ ეგებ იმის მალითაც არის უხსნა-რუნებლად მოჭვრინდეს ერთის წლის უნა-ხავი პირმშო შვილი თავის წყალ წალეკულ დედასთან? ნეტა მოვესწრები კიდევ იმ დღეს, რომ ჩვეულებრივ გულსმიგვრა და გადაგვიკოცნო დიდრონი შავი თვალები? განა აღირსებს ვინმეა ამ ჩემს გამხმარ ძვე-ლებს,, რომ აღრინდელებრ ეხვეოდეს შენს არწივივით გრძელ ბროლის ყელს?.. ვაჰ, ამ დღის მომსწრეს, ვაჰ!...

წუწუნებდა ამ სიტყვებით ერთი ოცდა თხუთმეტ წლამდე აწყეული დედაკაცი, მჯდომარე კერას წინ ერთსა დიდს ეკს დარბაზში, რომელსაც წყაროსავით ჩამოს-დიოდენ გამხმარსა ლოყებზედ ცრემლები, და რომელიც ართავდა ამ დროს მატყლის ტართით.—

კარგია და გაათავე ეგ წუწუნი, შემოსძახა მამსირა ჯ... მა თავის ცოლს ელისას,

რომელიც ეს იყო, რომ მოდიოდა ტყიდამ სოფლის ქალაქთში. მან ასე ნაირათ ამაი-ნიყე რომ, ლამის არა ამოიჭამო საწყალი ქალი!... გაჩუმდი ჯ!... აჰ! ამ ორს კვრა-ზედ ფეხის საზიზღნებლად მოგივა, და თუ შეგიძლიან რამე, აბა მაშინ ნუღარ გაუშვებ საქმის ხელში.

თვალიმც გამოგზვენოქია ზეზეროთ მაღლით, წარიტყლეტყუნა ყელიხამა ერთ ჭურში არა ვარ შენგან და ორში.— უწინამც დღე გაუქრეთ დაიწყო ხმა მაღლივ, და მოიწმინდა სატყე-ლის წვერით ცრემლით დასველებული ცხვირი, რომ ჩემი თვალის ჩინი იმათ ვეღა-რა ნახოს. განა ღმერთის სამართალი არა აქვს, რომ ამტყენი მწუხარება აკმაროს ჩემ უბედურ ხანიზდექს! მუხლებზედ მოვეხვევი ნაჩალნიკს, დავმზევს და თითოს ჩ ს/ნ ბაქლოსს, და ცოცხალის თავით კი აღარავის დავანებებ!..

ეგ მაინც ავრე იქნება, უპასუხა ქმარმან, მაგრამ, არ ვიცი დედაკაცო, თუ რა პასუხი მივსცე ამ ჩვენ ელისეს საქმეზედ... მესმის, რომელიც კარგა ხანია, რომ ჭირივით ჩამ-ციებია, და მეხვეწება, შენი ხანიზდექი, რომ გამოიყვანო, მე უნდა მომათხოვო; და მე სწორე გითხრა, უმისოდ პასუხს ვერას გამცემ, რადგან თავდა პირველი საქმეც, უმისოთ რომ გავათხოვე, მალიან სანანურადა

მაქუს.

დამანებე თავი, შეჟამასა გაჟავრებით ცოლმა, თვალებიმც გამოხეთქილით, მე ალერსა ვინ მეპრიანება. ნეტავიკი იმ დღეს მოვესწრო, რო ის ჩემს სახლში მოსული ვნახო და......

არა დედაკაცო! ეგ რასაკვირველია მართალია, რო საწყალმა ჩუენმა შვილმა ბევრი მწუხარება გამოიარა, და ლამის არის გარდის კოკორია გაშლიამდისვე დაჭკნეს, მაგრამ ქმრიდ ხომ მაინც ვერ დავაგდებთ, და მოდი ამ ახალი სასიძოს ხელიდამ ნუ გაუშვებთ. იცი რა არის დედაკაცო! ირაკლის ბევრს ადგილები, თითონ შემძლებელი კაცია, კაი მისადგვარ-მოსადგვარი ჰყავს და ბატონთან შესულია. აბა ერთი იფიქრე, მეტი რაღა უნდა ჩუენს ქალს. ნეტა შენი კარგა ყოფით, დაიწყო მანვე, თავდაპირველათაც ამისთჳს მიმეცა, და იმ სიმწრით არ დამეკარგა ჩემი საცოდავი შვილი, მერე იმისთანა ღმერთ გამწყრალის კაცის ხელში!... რა ვქნა, ახლა ბევრსა ვნანობ, მაგრამ რაღა გაეწყობა, ახლა გაშინჯე, ბატონის შემწყობითაც კი ველარ გამოვიყვანე იმ დაწყევლილის ოჯახიდამ. ოხ? შვილო, შვილო! შენთან ძალიან პირშავათა ვარ, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა მომიტევო ჩემი დანაშაული. აჰ!

ქალის ლხენით ყველა დანაკლისს შევისრულებ; და მწუხარებას მხიარულებად გადავიცვლი, აჰ! როცა....

დედი! დედი! ყვირილით შემოირბინა სახლში ათი წლის პატარა ბიჭმა, აგერ ჩვენებიანი სუყ აქ მოდიან!....

რაო?... წამოიძახეს ყველორივ ცოლქმართა, და წამოხტნენ ზეზე. რა ამბავია?.. ნეტა ზიანი ხო არავის დამართვია?... ჰკითხავდნენ ერთმანეთს განცვიფრებით.

ამ დროს ცხვირ ჩამოშვებული შემოვიდნენ სახლში რამდენიმე ოსის ქალები და კაცები, რომელთაც ამოუშვეს ქვით ქვითით ტირილი.

რა არი, გენაცვალეთ? რა ამბავია ჩვენს თავს? შეჰხმახა დაფეთებით ელისამ, რომელსაც ტუჩები აუთრთოლდა და ნაცრის ფერი გადეფერდომიელო პირის სახეზედ.

ვაჲ! ვაჲ! ვაჲ! შემოიკრეს თავ პირში შემოსხდომა დედაკაცებმა, და დაიწყეს ხმა მაღლივ ტირილი. ჩვენი სალდავი ხანიზდექ ხომ მოყვე....

ვუიმე შვილო! დაიკივლა ელისამ, და გადიქცა უსულოდ.

ეს რა მოგსვლია შვილო! შექნა ღრიალი მამხარამ, და წავიდა ზარზაცით დედაბოძისაკენ.

არ იქა წყალი! წყალი! მიჰსცვიდნენ ამ

სიტყვებითა დედაკაცები და კაცები ცოლქმა-რით, რომლებსაც ზოგი ლოვინს უწყვედა, ზოგი წყალის ასხამდა და ზოგი ყუროებს უსრესდა, და რომლებიც ამ ღონისძიებითა ძლივ-ძლიობით მოასულიერეს.

ჩამქოლეთ გვნაცვალეთ ზუზღურად, შეჰ-ყვრა ტირილით ელისამ, რომელიც ძლივ ცოცხალი მკვდარილა გაკაფხული წამოსვეს ზეზე. სადა ხართ კლდენო, იმასდა ის მაღ-ლის ხმით, რო არ ჩამოიქცევით და არ დემცემით ელისას უბედურ თავს. სად ხართ ზვავებო, რო არ დამიტანთ, და თქვენის სიგრილით არ გააგრილებთ ჩემს ცეცხლ მოდებულის გვამს. დამეცით თავს მთებო, ეგებ მალე მოვეწიო ჩემს სატრფოს. ვაი! შენ დედას შვილო. ვაი?... დაიკივლა და ისევ გულის შემოეყარა.

ვინლა უნდა დამიტიროს შვილო, ყვირო-და ტირილით ახლად მოსულიერებული მამ-სირა, აკი ეხლა გაითხოვებდი შვილო; აკი კარგი საქმრო გიშოვნე; აკი... ვაი! ჩემს სიცო-ცხლეს?—ვაი! რაზე დამაყარე შვილო სიბე-რით, გათეთრებულ თავზე ნაცარი, რაზე გამიქრე ცეცხლი; რაზე გამომასალმე ცო-ცხლებში; რაზე... ვაი! ვაი! ვაი! იცემდა თავში, და იგლეჯდა ბლუჯით თეთრს თმას თავიდამ. რატო არ დადგებით ყუროებო, რო

ეს უეცარი ამბავი გესმისთ, რატომ არ დაბრმავდებით თვალებო, რო სხუ სხუას სახით ნახავთ ჩემს სატრფოს ხანიზდექს; ნეტავი ვინ იყო ის ყლითი, რო ოჯახი დამიქცია, და ამ მოხუცებაში....

ვაია და იქმარე მაგტეგნი ეწუხარება, ჭხუე-წუმოდენ ვაცები, რომლებიც ვარს ეხვიენ მამხაროს, რაღას მოუმატებ, თორემ, აჰ! ჩვენც შენთან გსტირით. ჯალიბათ ღმერთის შენი დაეჭხაჭოა უნდოდა, რომ ამ მოხუცებაში მე შემეამხვია, და შენ ქალის, როგორიც ეს მოპატიჟე ვაცი ლიპარიტოვნს, შენმანვე სიმკმ შეამხვია სიკვდილი.

როგორ! წამოხტა ჭაბუკივით ზეზე: ქუამზის მოუკლავს ჩემი ხანიზდექი? თავისი ცოლი! რომელიც გაგიყვნით ყუვარდა?... ჰაი! დაწყევლილო ღმერთო, რაზე გამამაჩენე ქვეყანაში; რაზე მომახუცე ასე უდროოთ, რომ სისხლის აღების მალეც აღარა მაქვს. ავი ამბობენ, რო ღმერთი ლარიბთა და უბედურთ მოწყალეა. მომეც ისე ის მლიერება, რომ ჩემი პირქვე დამხობი ვიპოვო ზღვაში, თუ ხმელზედ, და აჰ, ამ ჯელით, ვარშალო მაროჯვენა, დავჭსცე გულში ხანჯალი, და გამოუყვენო ხანიზდექის გზასვაჰმე, რაღა მეშველება, მაგრამ მოდი აქა, მითორია ველელიდან თავის ათი წლის პატარა

ბიჭი, საიდამაც ჩამოიღო თოფი და მიჰსცა გულში. ხედავ შვილო, დაიწყო იმან თვალების ბრიალით, რომლიდამაც თითქმის როჰსწვეთდა სისხლი, აჰ! ეს ნეზას აღარ მაგლევს სისხლის მეზნისას, ყრუშნა ამ დროს გაითეთრებული თოვლივით თავი, და წყეულ იყო ღვთისაგან სააქაოსაც და საიქიოსაც თუ როცა თავს მოვსწრო, ამითი არ აიღო შენი დის სისხლი. ამ სიტყვაზედ ამოუშო ყმაწვილმა ტირილი და მიიტანა ტუჩებთან თოფი, რომელსაც აკოცა და შეჰფიცა ტირილით ანდერძის აღსრულება!...

ვაჲმე შვილო! ვაჲმე! წვიროდა საწყალი ხელახლა მოსყოიელებული ელიასა, რომელსაც იმავე წამს მოჰსწყდა კინწი და საცოდავად ჩამეეკიდა თავი გულზედ.

დაჰყო რა ამ მდგომარეობაში რამოტენისამე ხანს, უეცრივ წამოხტა ზეზე ელდასავით, და დაიწყო თვალების ბრიალით და ჭელეების ქნევით ხმა მაღლა სიცილი: ხა! ხა! ხა! გუშინდელი ინდოურების ჩხუბი, ყრო! ყრო! ყრო! ერთმანეთს რო უტრიალებდენ, და ზოგს კიდეც რო ეტაცნათ ერთმანეთისთვს ნისკარტი ჩინჩაყვებში, რომლებსაც ღორები რო ტრიუხუნით უყლიდენ, და მამლები კი ფრთებ გაშლილები ზღურბზედ ახტებოდენ. ხა! ხა! ხა! წვავები! წვავები თავს

რომ დასტრიალებდენ. ყ-ვ-ა! ყ-ვ-ა! ყ-ვ-ა! აგ-მელებდა ამ დროს თითონაც კისერს. თქვენც ნახეთ განა ჩვენი დიდ წვერიანი ჭრელი თხა, ყალხზე რომ დგებოდა და ინდაურებს ეტუქებოდა, ხა! ხა! ხა!.

ვაჲმე ოჯახსა დაქცეულო, და სახლ-კარო ამოწყვეტილო, შემოიკრა მაღლის ხმით მამხირემ თავში, აბა ახლა გამემეხურა კარები აქ; ცოლიც გამიგიჟდა!...

საწყალის რა მოუვიდა ეს, ჩურჩულებდენ კაცები და ქალები. ხედამ მეტმა მწუხარებამ რა ყყო. ვაჲ! ამ დღის მნახავს, ვაჲ!...

ამ დროს უეცრივ გამოუსხლტა იმათ ჴელიდამ ელისა, რომელიც თმებ გაწეწილი და გულ გადალეწილი გამოვარდა გარეთ და გაიქცა ჴელების ქნევით ქელიათის მდინარი-სკენ.

არიქა, ნუ გაუშვებთ, შეჰხმახეს იქ მყოფთ და გამოუდგნენ დასაჭერად.—

მთიდამ დაქანებული მდინარე, რომელიც განმძვინებულის მხეცსავით ყვირილით მოჰრო-ბოდა ქელიაათის მთებთ შუა, მედგრად ეცე-მოდა დიდრონ ლოდებს, ჩაყრილებს აქა-იქ იმ მდინარეში, და ისროდა რამდენსამე ადლ-ზედ შადრევანივით წინწკლებს, რომლებიც ჩხრიალით შეერთებოდენ ხოლმე მაღლა ახ-როლილის ზვირთებს.

ადგილ-ადგილ აქაფებული მორევები ლოდებ შუა, დუღდენ მაღლზე, თითქო ცეცხლზე შემოდგმული სარძეე ქვაბებში, და ტრიალებდენ ერთ ადგილს, რადგან არა ჰქონდათ თავისუფალი მსვლელობა, რომლე-ბიც გაბრაზებული მებრძოლივით, ხან მედ-გრათ ეტაკებოდენ დიდრონ ლოდებს, და ხან უკანვე გამოქანდებოდენ დამარცხებული ჯარე-ბის რაზმივით.

არიქა ცოტა კიდევ? უძახდენ ხმა მაღლივ სოფლიდამ ქალები და კაცები უკან მიმდევართ პირთ, რომელთაც კარგა მოშორებით მიყუ-სტოდა წინ მშველივით იმა მდინარისაკენ თმებ გაწეწილი ქალისა.

ვ-უ-ჲ! ვ-უ-ჲ! ვ-უ-ჲ! შეჰქნეს უეცრივ კივილი და თავში ცემა ბანებზე მდგომთ დე-დაკაცებმა, რომელთაც შეასწრეს თვალი, რო ელისა, გაცხარებული ჯიხვივით, უცებ შე-ვარდა მომაღლოს კლდის ნაპირზედ, რომ-ლისა მირს გველივით უვლიდა ქელიათის მდინარე, და იქიდამ სიმღერით და ჯელებისა ქნევით, თითქო ფრინველიაო, გადაეშვა წყლის მხარეს!...

ვაჲმე ცოლშვილო დალუპილო, და სახლ-კარო ამოწყვეტილო, შეჰყვირა მაღლის ხმით მამსირამ!...

ვაჲმე დედავ! დაიწყო ჩხავილი იმის

პატარა ბიჭები, რომლებსაც გარს ეხვეოდენ ქალები და კაცები........

---

### თავი მეხუთე.

---

აქა-იქ წითლდებოდა აღმოსავლეთის მხრივ მოწმენდილი ცა, რომელსაც იფიქრებდა კაცი, რო ცეცხლი მოედო. ფრინველნი და ნადირნი, რომელნიც ბუნებითის მისდომილე-ბით ერთბამად მხიარულობდენ მზის ამოსვლას, უმზერდენ ქვეყნის მანათობელს მოწიწებით და თითქო გონიერნი არსებანი, შესწირვიდენ მას მხიარულად თვისსა გრძნობას.

მინდორი და ტყე, დროებითად ღამის სიბნელით მოსვენებაში მყოფნი, კვალად იგრძნობდენ თვისზედ კაცთა მღიერებას, რომელთაგან სხვასა წვრილი ხელსაქმესთან, დიდის ხალისით, ზოგნი ჰხნავდენ მიწას, და ზოგნიცა ჰსჩეხდენ ტყეს.

ამ გვარად განშორებული იყვნენ თვისს მყუდროებას თვით მდინარეები და ნაკადულებიც, რომლებშიაც მოგზაურნი ხან გადიოდენ და ხან გამოდიოდენ ურმებით და ცხენებით,

და ალაო ამღერდნენ ნებას მშვიდის და წყნარის მსვლელობასადმი.

ამ სასხამ დილოზედ, შორის და ახლოს ადგილებიდამ, წყობილებით გაბმული, მოა-შურებდნენ ქალები და კაცები სოფლის ჯავახაგენ, სადაც ერთის სახლის წინ იდგა რაღაც საოცარი ჩოჩქოლი და მხიარულება.

ჩაასხამი დროზედ ეგ ლუდი კასრებში, და ყიხარით, რო ჰყურებდა მზით დაიჭირონ, მტყუოდა ამ სატეხებით რამდენსამე კაცს, რომლებიც გარს ეხვეოდნენ დიდრონ ცეცხ-ლოზე შემოდგმული ლუდის ქვაბებს, ნამტი-რალევის თვალებით, საჯინე ჩამოწმეტილი ლეგანა თ... შვილი, რომლისა სახლში თუ დასტიროდნენ ქალები და კაცები საზრალოდ თემსიროს.

ეს რა უბედურება ეწია ჩემ ოჯახს, იმახდა დალოგრეჯით ყავდინა ქ... შვილი, რო შვილის შემორიგების იმედიც გადამიწყდა, და ვერც თუ რძლის ყოლით გავიხარე... რომელიც მეტი ლონე არ არის, უნდა ჩემის ხარჯით დავმარხო, რადგან საწყალს ამას დედმამაც რაღაც საშინელი უბედურება შემთხვევიათ.

პატარას ხანს უკან ტირილით და თავში ცემით გამოიტანეს კაცებმა საწყალობელი თემსირა და ხანისდექი, რომლებიც დაასვენეს

თავ-თავის ეზოში, და რომლებსაც აყვავებდა ქრისტიანებრივის წესით სასულიერო შთაგონებამ, დასტირიალებდნენ თავს მწარედ შეწუხებულები.

ამ დროს ცოტ-ცოტაობით გროვდებოდა ყოველის მხრით ხალხი, რომელთა რიცხვი მიაწევდა თითქმის ორასამდე, რომელთაგან, კაცებმა, გამოჩნდნენ რა ასანი და გავიდნენ ნაპირს, — ჯოხებზედ დაყრდნობით ამოუშვეს დაბალის ხმით ტირილი: ხოლო ქალებიცა დაეწყვნენ რაზმ-რაზმათ, და დაიმკლავებს იდაყვებამდე, რომელიცა გული გადალეულით, შორის მანძილიდამ დაიწყეს ოსურად ტირილი შემდეგობის სიტყვებით: «დადაჲ! დადაჲ! დადაჲ! დადაჲ! და ყოველის ამ სიტყვაზედ გადადგამდენ თითო ნაბიჯს, და იცემდნენ ხან თავში და ხან გულში, ვითარის წინასაც წავიდა პირველი რაზმი, რომელმაც გაათავა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიახლოვდენ მიცვალებულებს და დაუკრეს თავი. შემდგომ წამოვიდა ამავე წესით მეორე რაზმი; მერე მესამე, მეოთხე და სხვანი, მანამ სულ არ გაათავეს ეს წესი დაწყობილი ქალების რაზმთა.

მოარჩნენ რა ამ ცერემონიას, შემდეგ დაიძახეს ვალიდიშტა! ვალიდიშტა! (*) და სიჩქარით ახადეს მიცვალებულებს ჯუბოებს თავი და დაადვეს გულებზე თითო პურის;

(*) დაგურობხების ნიშნავს.

მერე მოიყვანეს ორი შეკმაზული ქურანი ცხენი, რომელთაგან ერთი იაბო იყო და ერთი ჭაკი. და პირველის მათგანის აღვირის წვე-რები დააჭერინეს ჴელში თემხაროს. ხოლო უკანასკნელისა ხაზინადრეს, და რომლისაცა ამ წესით დაუყენეს ტაკებზედ ქმრიცა.— ამის შემდეგ მოიყვანეს ორი მოხუცებული კაცი, და დაუყენეს რა მიცვალებულებს თავით, მიჰსცეს ამათ ჴელში დიდრონი ლუდით სავსე ხის კათხები, რომლებითაცა მოიხადეს ქუდები, აიღეს ცაში და დაიწყეს შემ-დგომის სიტყვით დაკურთხება: «ერთხელ ვასკირკის(*) შვილი ვახსან მიდიოდა სხვაგან მგზავრად, და გზაზედ უეცრივ შეხვდა უკვ-დავების მდინარეს, რომლისა დალევა მოინ-დომა იმან გულით, და როგორც რო ერთი ფეხი ჩამოდვა მიწს, და მეორე კი ისევ უზან-გში ჰქონდა, ამ დროს უეცრივ სული დალია და მოკვდა ცხენმან რო ნახა ეს თავის პატრონის მოულოდნელი უბედურება, დაი-წყო ჭიხვინი და ტირილი, რომელმაცა ივი-ქრა, რო თუ აქ დავაგდო, ვაჲ თუ მგლებმა შეჭამონო, და თუ არა და რავქნაო. მერე უცებ დაჰსტაცა კბილი, მოიგდო მხარზედ და მოიტანა ვასკირკის სახლში, რომლის

(*) ოსები ვასკირკის სახელით იგულისხმებენ წმინდა გიორგის.

კარებზედაც შეჰქნა იმან ჭიხვინი და ცოცხის ცემა. რა შემოესმა ეს ხმა ვასკიროვს, მაშინვე უბძანა ანგელოზებს, აბა ერთი გახედეთ, ეს რა მიზეზია, რო ასე მალე დაბრუნებულა ჩემი შვილი ვაჟსან? რომლებიც გამოვიდენ რა გარეთ, ნახეს რო, ვაჟსანი მკჳდარი მოეტანა მისნ ცხენს, რომელიც ჩამოიღეს და შეუტანეს ვასკიროვს. შეიტყო რა ეს შემთხვევა დაწვრილებით ვასკიროვმა, მაშინ ბძანა, რადგან ასე მომხდარა ამის სახსოვრად ერთი კაი ცხენი უნდა ვიშოვო და ის დავაკუროთხო ჩემ შვილ ვაჟსანს, რომელზედაც შევსო და გავისტუმრო სამოთხეში. მიახსენეს ანგელოზებმა. ნუ იწყებთ, თორემ ეგ საქმე შემდგომისათვის სამოთხეში წესად დაიდება და მოვალენი დაირიბდებიან ცხენების შოვნით ვალოდიშტისათვის. ამაზედ უპასუხა ვასკიროვმა, ვისაც შეეძლება ჰქონდესთ დაავალოდიშტონ ცხენები თავის მიცვალებულებს და ვისაც არა და თავი დაანებონ. ამისა შემდეგ წავიდა ვასკიროვი თერგის ჭოვში, სადაც ვერ ნახა ამ შემთხვევის შესაფერი ცხენი, მერე მივიდა ელესე მელესესთან და უთხრა, კაჲ შვილი მომიკვდა და კაჲ ცხენს ვეძებო, და თუ იცოდე მასწავლეო. ჰკითხა ელესე მელესემან, რით იყო კარგიო?... ამითიო! მიუგო ვასკიროვმა, რო დედამის პატივის

მცემელი იყო, მტერს მოყვრად აქცევდა, სახლიკაცებს კარგა ეპყრობოდა, სისხლის მედგრად ეძებდა და უხვი პურმარილის კაცი იყო; რადგან ასეთი კარგი ყოფილა, უთხრა ელუსე მელუსემან, მაშ ერთი წყვილი წმიდა სამოსელი წაიღე ამა და იმ ადგილის, და იქ ნახავ ერთს ცივს წყაროს, რომლის ნაპირზედაც სამი რაში აბია; იმათში უფროსი ბედაურია და ნუ გინდა, უმცროსი გაუშვა და არც ის გამოგადგება და შუათანაკი ჰსწორედ შენი შვილის შესაფერია, და ის აუშვი და წაიყვანე. წავიდა იმ ადგილის გასწვრივ, და მართლაც ისე ნახა, როგორც ჰქონდა ნასწავლები ელუსე მელუსესაგან. და როცა ხსენებულის რაშით შინისაკენ მოდიოდა, მაშინ შემოხვდა გზაზე მზის შვილი მახმეცა და ჰკითხა სად მიგყავს ძმობილო მაგისთანა უებრო ცხენი?.... კაჲ შვილი მომიკვდა მიუგო ვასკირვებ, და იმის დასაკურთხებლად მიმყავსო. რით იყო კარგი?.. ჰკითხა კვლავად მზის შვილმა, და მიიღო პასუხად ისევ ის, რაც ელუსე მელუსემან! რადგან ეგრეთი კარგი ყოფილა, უთხრა მზის შვილმა, მაშ აჲ ეს ჩემი ალვირი მიჩუქებია შენი შვილისათვის, რომელიც ვასკირვებ გამოართო და წამოიღო; მერე მთვარის შვილი სამაიხან შემოხვდა, და ამანაც როგორც მზის შვილმა, ისე დაუწყო

ვითხვა. ჵ როცა პასუხად მიიღო ისევ ის, რაც ძმის შვილმან, მაშინ ამანაც ერთი გარ-გი თაქალითო აჩუქა. ჵ ესეც წამოიღო ვას-კირსვიმ, რომელმაც ის რაში გზიდამ და-აბრუნა ჵ პირდაპირ ცაში აიყვანა, სადაც დააჭკვიდინა ახალის ნალოყებით ჵ ლოყრსმებით, მერე მოიყვანა შინ ჵ მორთო ყოველის სამკაულით, რომელზედაც შესვა თავისი შვილი ვაჟსან, ჵ გაისტუმრა საიქიოს შემ-დგომის დარიგებით: სამი გზა შეგხვდება შვილო, რომელთაგან ქვემო ეშმაკისაა, ჵ რადგან წმიდა სარ არას გერჩიან; ზემო ცოცხლებისაა ჵ შენ ეგლი ალარა გაქვს იმაიში ჵ შუაგი სამოთხისაა, წმიდათათჳს დაწესებული, რომელზედაც უნდა გაიარო. ცოცტას რო წაივლი ერთი დიდი დაღმართი შეგხვდება, ჵ გაფრთხილდი რომ არ ჩამო-ვარდე. ეი! შენ რაშო, მიუბრუნდა ვასკირვი ცხენს, ელაღე რო იმ დაღმართზედ თეძოები დაბლით დაუშვა, ჵ მხრებიკი მაღლით გეჭიროს, რო ვაჟსანი არ ჩამომიგდო; მერე ერთი ლოყრეჭი ყინული შეგხვდება ჵ იმაზედაც სიფრთხილით გაიარეთ; მერე ერთი ბეწვის ხიდი შეგხვდება ჵ იმაზედაც კი მგლის გულადობით ჵ დათვს ღონიერებით გადით, რო ხიფათი არა მოუგეცესთრა, მერე

შვილო თალიუს შვილი მიუქალო (*) შეგხვდება, და ეგ გულზედ რო ჭური გაძევს იმას გადუგდე; მერე წვრილი ყმაწვილები მოგეგებებიან ტირილით, და აქაურს ანბავსა გკითხვენ, ეცადე რო იმათაც იმედიანი სიტყვებით გული დაუმშვიდო, ზოგს უთხარი, რო მამა შენი მოდისთქო, ზოგს დედა შენითქო, და ასე ყველას, როგორც მოიხერხო ნუგეში მიეც. იქიდამ მერე პირდაპირ ზარასდირთან (*)(*) მიდი, რომელსაც დიდი ხარნავა (*)(*)(*) აქვს და რამ წამს დაგინახამს, მაშინვე დოლში გაგზავნის, და ეცადე რო არც ყველაზე წინ მოხვიდე, რო შური არავინ გიგოს, არც ყველაზე უკან, რო სიმაზუნეში არ ჩამოგართონ და ისევ შუაში მოდი, და მაშინვე ეგ შენი რაში, სადაც კაი მწვანე ბალახი იყოს, იქ დააბი, და შენ კი, სადაც კაი ნათელი სადგომი იყოს იქ შედი!....» გაათავეს რა ეს დაკურთხევა, მერე კათხებით ლუდი ცხენებს თავზედ დაასხეს, დაიძახეს, რაუქსაგუეხე იგი შეუნდოს, ვითარმა სიტყვამაც ელვასავით გაურბინა ყოველთ იქ მყოფთ, ქალთ, თუ კაცთ, რომელთაც ერთხმად გაიმე-

(*) ამ სიტყვით ისინი იგულისხმებენ, უზიარებელის და წესგარდუხდელს მკვდარს.

(*)(*) ამით იგულისხმებენ სამოთხის გამგეს.

(*)(*)(*) ხარნავა ნიშნავს ქელეხს, ანუ სულთათვის წირვას, ანუ ჭამას.

ორეს მაღლით ახედვით. ამისა შემდეგ ოთხ ოთხმა კაცმა დაჰსტაცეს კუბოებს ხელი, რომლებიც იდვა მანამდენვე საკაცეზედ და შეიდვეს რა ზურგზედ, გაარბენინეს სასაფლაოსაკენ, რომელსაც არც ნათესავთაგანი და არც სხვა ვინმე იქ მყოფთაგანი აღარ გაჰყვნენ თან; მხოლოდ კი ორი მოზდილი ბიჭი, რომლებიც შესხდენ დაფალდიმტებულის ცხენებზედ, მიყრბოდენ ხტომით იმა კუბოებს წინ, რომელთაც, მიახლოვდენ რა სასაფლაოს, მაშინვე აღებული მკვდრებისა ვულიდამ ზურები გატყვნეს ორად, და ერთი ნატყვი გაჰსტყორცნეს მარჯვნივ და ერთი მარცხნივ, და იმ წამსვე გამობრუნდენ შინისაკენ, სადაც ქალი და კაცი კიდეც ჩამომწკრივებული იყვნენ და ისხდენ გარეთ ეზოებში, სადაც ეუბნებოდენ შენდობას, ანუ რუხსავუს ლიუდის ხმით იმ გადაცვალებულებს........

ი. ზერიძე.

დასასრული იქნება შემდგომში.

ოსეთით.
8 აგვისტოს 1859 წელს.
ს. ჯ-გ.

## მასალა საქართველოს ისტორიისათვს.

## სიჭაბუკე საქართველოს მეფ:ს ირაკლი ბ-სა.

---

მეფობა ირაკლი ბ-სა წარმოგვიდგენს ახალს დროს სახსოვარ შემთხვევულებას, სამძღვროსა შინა საქართველოს ჭირისასა; მისმან კეთილი მოქმედებამან, მმართველობამან განკურნა სენი ჭირისა და მისცა მამულსა სანუგეშო იმედი მომავალსა. თუმცაღა საქართველო მართველობასა ქვეშე მისსა არა ყოფილარს უცხო უბედურებათა, რომელნიცა უბედურებანი დიდხან ყოფილან განუშორებელნი სახელისაგან საქართველოსა, ბევრი უთმენია მას შეუბრალებელთა მტერთაგან ქრისტიანობისა; მაგრამ უბედურმან მდგომარეობამან მისსა ირაკლის დროჲთიდგან დაიწყო დამცირება. ხალხს მიეცა მხნეობა, დაივიწყა სასო წარკვეთილება და ღვაწლითა შინა მოთმინებისასა დაემორჩილებოდა სხვათაებრივსა გამგეობასა; ამასთანავე თვით უბედურებანიცა

ხშირად მისცემდნენ ადგილსა მადლისა ღმ̃-თისასა, რომელიცა აკურთხებდა საჭურველსა ქართველთა დამარცხებასა ზედა მტერთასა. ყოველთა უწყიან მრავალნი ირაკლისა სპარსთა ზედა; ყოველთადმი ცნობილ არს ესეცა რომ ერთი სახელი ირაკლისა ამშვენებდა მრავალთა მაწუხებელთა უწინარეს მისსა სამხედროთა ჩვენის მამულისათა. — ესრეთ მაგალითებრ, დროსა აოხრებისა აღამაჰმად ხანის მიერ ტფილისისა, დამახვებასა და წინა დადებასა ზედა, რათა წავიდნენ საომრად ქართლის მეფეზედ, ხანებს: შუშისას და ერევნისას, რომელთაცა სცოდნიათ მხნეობა მეფისა, უთქომთ, ჩუენ ვყოფილვართ უწინ ქვეშე ვრდომნი სპარსელთანი და გვიძლევია მათთვის ხარჯიო; ხოლო მფლობელისა გურჯისტანისას შეუმუსრავს შემძლებელობა სპარსთა, დაუმონავებივართ თავის მფლობელობაში და ესლაცა ჩვენ ვემორჩილებით მათ ჩუენ მფლობელისათ. ეხლა შენ მარტო ირაკლის და რომელსაც დასძლევ, მაშინ ხელახლად შენ დავემორჩილებითო. ამისთვის საქართველოს ისტორია დიდ გულობით მოიგონებს სახელსა ირაკლი ბ-სასა, ვითარცა ერთის საქართველოს უდიდესთ მეფეთაგანსა.

დღეთა შინა მეფობის თეიმურაზ ბ-სა, მამისა მისისასა, როდესაც ლეკები თანა მოკავ-

შირეთა თვისთაგან აღაოხრებდენ ქართლისა, მაშინ ბატონი შვილი ირაკლი გულმტკივნეულად უყურებდა მაწყვნელთა უბედურებათა მის მამულისადმი, როგორც უბედურნი ვართ ჩვენ, სტკიოდა იგი მამასა. თვისსა შემდეგ საყვარელისამან მამულისამან ფრიად განახურვა გულსა შინა ახალი ნორჩის ბატონის შვილისა, საყვარელი ტახტისა და მამულისა უსხა მას ფრთები და იგი აქამომდე, გაუცნობელი ომთა, თავი გამოიჩინა რათა იხილოს იგი მინდვრებსაზედა ნეიყეროსისასა, სადაცა დაეწია იგი მტაცებელთა ლეკთა, მყისვე დაამარცხა იგინი. ამ გამარჯვებამ მაშინვე აღამაღლა სახელი ირაკლისა ვითარცა დიდი მამაცისა. ბატონი შვილი შემდგომ ამ გამარჯვებისა წავიდა ჯარითი სოველს მალართოში, რომელიცა არა შორავს სიღნაღზედ, სადაც ერი დღესასწაულობდა დღესა მას. დღესასწაულობდენ საქართველოს ერნი მხიარულის ლაღადებითა. თვით თეიმურაზს არ შეეძლო რომ არ განეცხადებინა მადლობა მისათვს გამოხსნისათვს მამულისა მხეცებრივთა მტერთაგან. გადმოცემით სჩანს, რომ ლეკებს თავიანთის ქცევით ასე გაუჯავრებიათ ირაკლი უკანასკნელ წლებში მისის სიცოცხლისა, რომ ის დიდხან ვერ დაწყნარდებოდა. საყვარელი ირაკლისა, ეპისკოპოსი კირილე

თავადთ ჯორჯაძეთაგანი არა შორს სოფლის ზოდბიდგან, ჩვენ წელში, იყო მოკლული ლეკებთაგან. იგი მსახურებდა ადრე საქართველოს მეფის ამალაში, იყო მის ბრძენ მრჩეველად და ერთი უმჯობესი მხედართ მთავართაგანი. მისდვრის ბრძოლაში ერთ გულობისათვს ტახტისა მიიღო მან ყოველთვერში ნდობა და სიყვარული ირაკლისა, რომელიც განსაკუთრებულად შეწყნდა გარდაცვალებისათვს ეპისკოპოზის კირილესი. თემიმყოფსხი სახალხოდ აქვნდა ღვაწლის ბატონი შვილისას, და ნიშნად ერთ მთავრის მოწყალებისა მაშინდელის ჩვეულებისამებრ დააჯილდოვა იგი მვიროვასის ხალათით, ეს კიდევ დიდ ხსოვნაში აქვთ მრავალთა მოლაშოში მცხოვრებელთა, რომელთა მამა და პაპა ყოველთან მოწმათ და მონაწილეთ დღესასწაულობაში. მაგრამ საზოგადოთა, ჩვენთა ერთ მემამულეთა დიდხან არ უსარგებლიათ სიმყუდროვითა და განსვენებითა; არა დიდხან ჰქონია ხალხს გულში მხიარულად ყვირილი და დიდი ხმით ზარაქალი. ბნელი ლოყუბელის ველი ახლად დაუბნელებია ცა საქართველოსი, შემძლებელი ნადირობისა, რომლისა ერთსა სახელსა მოჰყვანდა მაშინ ხალხი მრწოლაში, დაეცა ტფილისს ვითარცა ტახტს ივერიისას, დაუძხოვლიათ ველითა შემუსრა

და გარდაიქცია იგი ნაცრად. ამ დროს მრავალნი დიდ გვართვანთაგანნი შეიქმნენ დატყვევებულნი, იმათ რიცხვში თეიმურაზ მეორე მეფე ქართლისაც. ესენი ყოველნი ვითარცა ტყვენი იყვნენ წარგზავნილნი სპარსეთშია, სადაც ელოდდა მათ ბევრი ტანჯვა. გამგეობამან ირაკლისამან აქაცა არა დაუტევა საქართველოს ხალხი უმოწყალოდ: მან ნადირი ეძებდა თეიმურაზს და სხვა ტყვეებს როგორც ოდესმე ალექსანდრე მაკედონელი მოეძებდა სახლობასა დარიისასა. სპარსეთიდგან დაიბარა თეიმურაზ და მრავალნი ქართველნი და მათთან ერთად წავიდა ლაშქრად იმ განზრახვით, რომ დაიჭიროს ყანდაჰარი. ამ ომში ქართველნი განსხვავდნენ ბუნებითის მათდა ვაჟკაცობითა და მით მოიპოვეს მათ ყურადღება შაჰისა, რომელიმანცა დანახა რა მორჩილება და ერთგულება, მადლობა უთხრა თეიმურაზსა და ჰსთხოვა მას რათა დაიბაროს საქართველოდგან ბატონიშვილი ირაკლი, რომელსაც უჩვენებია თვისი მამაცობა მინდორის ნეიმარასზედ, ჩასაზიარებლად სამხედრო მოქმედებათა შინა შაჰისასა. აცნობა რა მასთანავე თეიმურაზსა, რომ შემდგომ მოსვლისა მისა, მიიღებს იგი სრულებით თავისუფლებას. თეიმურაზმან სიხარულით მიიღო წინადადება შაჰისა და დაუ-

ყოვნებლივ აცნობა ესე ირაკლის წერილით შემდგომის ჭაზრისა:

საყვარელო ძეო!

სადაც ცუდია, იქ კარგიც არისო! იტყვიან ყოველნი. ვიტყვი მეცა, გახარებ შენ, უკე-თუკი შეიძლება გაახაროს შემდგომმა; არის შესაძლო, რომ მამა შენმა განითავი-სუფლოს თავი ტყვეობითგან და მოვიდეს სამკვდრო ქვეყანაში, გარნა სამწუხაროება ესე ასე ძნელია ჩემთჳს, როგორც ძნელია ტჳრთი ტანჯვისა, რომელ-საცა ვატარებ მე ჩემის მხრებით, ვითარცა ტყვე და უცხო ქვეყნის კაცი, ამ სამწუხარო-ბასა ქვემე იგულისხმები შენ; ვიტყვი ჰსწო-რედ, თავის უფლება ჩემი დამოკიდებულ არს შენს მოსვლაზედ ჰერსად, შენ ხარ იმედი ჩემის თავისუფლებისა; და შემდგომ მოსვლისა შენისა სპარსეთში მომეცემა მე თავისუფლება, ესრეთნი არიან სიტყვანი შახისანი.

მაქუს სრული იმედი შენს ჩემდამო დამოკიდებულობაზედ.

დავშთები საყვარელი შენი მამა თეიმურაზ.

ამა წერილმან სრულებით განახარა ბატონი

შვილი. განაცხადა თანხმობა წასვლისაზედ სპარსეთად ნადირშახისადმი; ესე განუცხადა მაშინვე ხალხსა, მაგრამ ხალხმან უსიამოვნოთ გაიგონა, შეიკრიბნენ რა ერთად ჰსთხოვეს მას რათა არ წავიდოდეს სპარსეთში, იქა განულტოლველი სიკჳდილი გელოდების, ეტყოდენ მას; მარა ყოველივე ესე იყო ცუდ. ირაკლიმ არ უღალატა თავსა თჳსსა და ჰსთქჳა: ამაზედ არის დამოკიდებული ბედნიერება მამისა ჩემისაო, უკეთუ მისვლა ჩემი განათავისუფლებს მას ტყვეობიდგან მაშ არ გაუშვებ ვისარგებლო ამ შემთხვევითაო; მამა ჴელმწიფობისათჳს უფრო საჭიროა მეზედაო, სიცოცხლე მისი უფრო საჭიროა ჩემზედაო.» ჩლვ-სა წელშიაც ვეზერვლის თვეში მეფე ირაკლი წავიდა კადაღარში და წაიყვანა მრავალი პატივცემულნი პირნი და მისული იქმნა რა, ბევრი წარმატება მისცა სპარსეთის საჭურველს. მალე კანდაღარი დაამხეს და აიღეს. მაშინ ირაკლი წარდგენილ იქმნა ნადირშახისადმი; ნადირშახმან უყურა მას დიდ ხან თვალი გაშტერებით, ჰგონებდა რომ მას შევაშინებო და შემდგომ გრძელი ხანის დუმილობისა ჰკითხა მას: არ მიიღებ რა მაჰმადიანობასაო!» კეთილი მსახურმან ჭაბუკმან განმზადებულმან შესაწირავად სიცოცხლისა თჳსისა ქრისტესადმი უპასუხა:

8.

მოკვლია ჩემი მალოგიძს, მე შენ ჴელში ვარო, ხოლო განშორება ქრისტესაგან არაოდესო. ეს ზიანი სიტყუანი წარმოთქმულნი თანამ-ყოფილობისათჳს მოეწონა მხნე ნადირსა, და ამა სიტყუაებზედ უპასუხა ირაკლისა: ნუ გეშინიან, მე შენ ამაზედ მალის არ დაგა-ტან," შემდგომ ამისა ნადირ შახმან ალის-რულია სიტყუა თჳსი; თეიმურაზმან და მისთანა მყოფთა მიიღეს თავისუფლება და ნება წარ-სვლისა თჳსსა მამულისა შინა: ბატონი შვილი დარჩა სპარსეთში, სადაც სცხოვრებდა და იზრ-დებოდა უსაშუალო მზრუნველობასა ქვეშე თჳთ შახისასა, რომელსაც უყვარდა იგი, როგორც თავისი მე და რათამცა მამისათჳს დაემგზავსებინა იგი შეიყვანა იგი სამსა-ხურში და ასწავლებდა სამხედრო ჴელოვნე-ბასა, რათა ვითარ გაემარჯვნა მტერზედა შახს, უფრო უზრუნვიდა განსხნისათჳს ბატონი შვილის გონებისა სწავლაზედ, და სწორეთ ირაკლის განუმართლება შემდგომში თავის ნათქომი: ყოფილა ჭეშმარიტი მამაცი ბრძო-ლაში, ჭეშმარიტი მამა თავის სახლობისა, გონიერ მმართველი საჴელმწიფოსი და განსა-კუთრებით დაუცველია შემდეგ თავისი სახსო-ვარი, როგორც მეგობარი კაცობრიობისა, როგორც თჳთ უხვი და სტუმრის მოყვარე საქართველოს კაცი. მსწრაფლად ნადირ შახს

დაებადა ახალი ჰაზრი, რათა დაიპყროს ინდოეთი, მას განუსმია ირაკლი საომრად. წინააღმდეგობისა დაპყრობილი იქმნა ომით შემმღებელი ნადირ შახის მიერ; მაგრამ ეს გამარჯვება არა კმაყოფილი იყო ნადირისა, ამიტომ რომ მას იმედი ჰქონდა, თანახმად ალყორანისა რომ დაეპყრა ხმელეთი. ინდოეთიდამ რომ დაბრუნდა, მან განიზრახა დამხობა სინდისის სამეფოისა. აქ დამპყრობელი განცვფრებული იყო იგი საკვრველის გამოცხადებითა: ინდოეთისა და სინდის სამძღვარზედ ნახა მან სვეტი (აღმართული ყოფილიყო ჴელმწიფეთა მიერ ერთი მეორის სამეფოისა.) რომელიზედაც ყოფილა დაწერილი: ვინც გადავა ამ მიჯნას განზრახვით, რომ დაიპყრას ომით სამეფო, იმას ელოდების საუკუნო სიკვდილი და საუკუნო შეჩვენებაო.— წარმკითხველი ამა სიტყვათა ნადირს შეეშინა, დადგა და ჰკითხა ირაკლის: აბა ახლა რას იტყვი ამაზედაო. წავიდეთ კიდევ წინ თუ უკან დავბრუნდეთო! ეს სვეტი საშინელი არისო!!

ამაში არაფერი არ არის განსაკუთრებითო ირაკლიმ უპასუხა, სპილოზედ დაიკიდოს ისა და წინ ატაროს იგი სამეფომდინაო! მომთხრობნი ანბობენ, ესე ვითარის კეთილ გონივრულის რჩევისათვის შახს დაუჯილდოებია

ბატონი შვილი ორი ათასის ოქროთი, დაუნიშნავს მისთვს პირველი ადგილი მარჯვენა მხარეზედ თავის ყადარ კაცებთან და აღუთქვამს რომ ნიადაგ შველა ფერში დაიფაროს. რჩევა ირაკლისა ყოფილა აღსრულებული, ხოლო განძრახვა ნადირისა, რომ დაეპყრას ომით ხინდიკის სამეფო ყოფილა წარმატებაში.

ამ ომში ირაკლის თვით ნადირის წინ გაუმარჯვნია ვაჟკაცურათ, რომლისათვსაც მიუზიდნია მას საქვეყნოდ პატივისცემა სპარსეთში, თვით ნადირშახს უძლევია მისთვს უპირატესობა, სხუათა თავის მხედართ მძღვანლებზედ და ბოლოს ნიშნათ სამსახურისა და ერთგულობისა, დიდის საჩუქრით გამოუსტუმრებია იგი საქართველოში და დაუნიშნავს იგი მეფედ ქართლისა და კახეთისა. შეიძლება წარმოვიდგინოთ სიხარული ხალხისა, რომელთაც ნახეს დაბრუნება თავიანთ საყვარლის ბატონი შვილისა.

ი. დოდაევი_მაღაროელი.

# პასუხის-გება

# უ. არდაზიანის

## კრიტიკაზედა.

---

ვინც ძველი ისტორია იცის, ის მოიხსენებს შემდეგომ მოთხრობასა: როდესაც ბრუტმა იული-ცეზარსა დაჰკრა გვერდში ხანჯალი, მაშინ ცეზარი ძირს დაეცა, სასიკვდილოდ ამოიოხრა და ყვედ-რების ღიმილით უთხრა ბრუტსა: შენც აგრე, ჩემო ბრუტოვო? — მართლადაც, ცეზარს აგეთი დანაშაული არა ჰქონიარა ბრუტთან; მანამდინ იმათში მეგობრობის მეტი, სხვა ანგარიში არა ყოფილარა. მაგრამ რა გაეწყობა წუთი-სოფლის სიმუხთლეს, მეგობართა მტრობას, ორ-ფერობას? — ბრუტმა

თავი გამოიდო, მოინდომა თჳსი სახელის გამოჩენა და ვითომც მშობლიური ქვეყნის განთავისუფლება და აღდგინება მოიწადინა. მაგრამ რომაელნი ხათის გაეყარნენ, ბალას ძუხებნენ. შემდგომ ცეზარისა იმისთანა პატრონების ხელში ჩავარდნენ, რომელთაც სრულიად დაჰსცეს თვიანთ ქვეყანა. მე მგონია, ამ შემთხვევის გამო წარმოსდგა ანდაზა: შეჩვეული ჭირი ჯობია, შეუჩვევარ ლხინსა.

არ ვიცი, ცრუილია თუ მართალი ეს თქმულობა, მაგრამ ეხლა მეკი ძალიან ლხინის გუნებაზედა ვარ: მე როგორც მტრისაგან, აგრეთვე მოყვრისაგან ჭირიც გამომიცდია და ლხინიცა. მაშასადამე შემიძლიან მხიარულად ვიყო — მეტადრე აწინდელ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საყვარელს და სასურველს «ცისკარსა» უნდა მიულოცო ახალი და მოულოდნელი შვენიერება: ამ ჟურნალის მეცხრე წიგნში აღმობრწყინდა უწარჩინებულესი მსაჯული, სახელდობ ლ ა ვ რ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი, რომელმანცა თჳსს პირველ ნამდვილ თხზულებას უწოდა «კრიტიკა». მართალია მარმანაც დაბეჭდა თარგმანი შექსპირის დრამისა; მაგრამ ეტყობა თჳთ უ. არდაზიანსა უგრძვნია თჳსი პირველი შრომის ამაოება და სხვა უდიდესის საგნისათჳს მიუმართავს, ესე იგი დაუწყვია კრიტიკის წერა.

მხოლოდ ნეტავი ვიცოდე, იფიქრა უ. არდაზიანმა რა არის კრიტიკა? არ მოაგონდა მაინც

სიტყვა: «მკურნალო, პირველად განიკურნე თავი შენიო»? ნუ თუ ისეა დარწმუნებული თჳსს საკუთარ უცოდველობაში, რომ გაბედავს თავხედად ჰსტყორცის სხუასა ქჳა განკიცხვისა? ..

ვნახოთ და თჳთოეულად წარმოვადგინოთ მისი ჰსჯა.

პირველად: მე არც დამიწერია, არცა ვსწერ და ვერც დავსწერ ქართულ ჟურნალზედ კრიტიკასა. მე მხოლოდ ჩემ საკუთარ აზრსა, დაფუძნებულსა ცოტაოდენ ლიტერატურის ცოდნაზედ, უცხადებ იმათ, ვისაც ესმისთ საგანი: ნებავთ თანახმა გახდნენ, ნებავთ ნუ გახდებიან—მათი ახალი ქეიფია. მე ვსწერ სუბუქს, ს ა ჩ ქ ა რ ო გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ს ა (**Бѣглый обзоръ**) და არა კრიტიკასა. ვგონებ, ყველა ტკუისა და თვალების მქონებელ კაცსა შეუძლიან სთქუას, რომ ეს შავია და ის თეთრიო. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ტკუა მიჭრის და პასუხის გებაში არ ვაძლევ არცა ჟურნალსა, არც მის გამომცემს და არცარავის სახელდობ ვჰკიცხავ. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ერთსაცა და მეორესაცა: როგორც უწირავთ, ისევ ისე ჰსწირონ.

უ. ორდაზიანი უმეტესად იმასა ცდილობს, რომ გამოაჩინოს თჳსი ღრმა ფილოსოფიური ცოდნა და ეტყობა კიდეც, ფილოსოფიაში ახირებულათ დახელოვნებული უნდა იყოს. ასეთ რამეებს გვიამბობს ის დალოცვილი, რომ ყურები უნდა ვცქვიტოთ, თვალები გავაცეცოთ, პირი დავაღოთ,

მუხლი მოვიდრიკოთ და ყურით ვისმინოთ მისი დარიგება. სმენა იყოს და გაგონება — ყური დაუგდეთ ხალხნო და ჯამაათნო!

პირველად, ჩემს გულ-შეცხელ მსაჯულსა უკვირს, რატომ ქართულად არა ვსწერ «ცისკრის» განხილვასა, თუ მართლა მსურს მისი წარმატება. აქამომდე მე დარწმუნებული ვიყავ, რომ «ცისკარი» და მისი გამომცემი მადლობელნი იქნებოდნენ ჩემი ამ გვარის შრომისათჳს. რუსულად ვსწერ და რუსულ გაზეთში ვბეჭდავ ამიტომ, რომ ათასზედ მეტი მკითხველი ჰყავს ამ გაზეთსა და მისივე საშუალობით თითქმის ევროპამიაც კი შეიტყეს, რომ ქართველებისა რაღაც ჟურნალი იბეჭდება ტფილისის ქალაქშიაო. თუ აქედამ სარგები ცოტა გამოდის ჩვენი ჟურნალისთჳს, სახელი ხომ უეჭველია? სახელისათჳს ბევრნი სიცოცხლეს არა ზოგვენ, მრავალნი ცდილობენ მის შეძენებას და ესევე სურვილი განაღვიძებს სულსა და მოითხოვს მხნეობასა და მამაცობასა. აბა «ცისკარში» რომ გამოსულ იყვნენ ჩემი სტატიები, თქუენ გამარჯვებას, — ხომ არც ეს მცირე ნაყოფი იქნებოდა? მართალია, უ. არდაზიანი და მისთანა ათიოთი გვამი წაიკითხავდნენ, მაგრამ რა გამოვიდოდა? მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ისინი სხვაზედ უარესად წინაალმდეგებოდნენ: რას მიედმოედებაო! ვინა ჰკითხავს ბარი ათმაურათ არისო, და სხ. — მეორეს მხრით, სად და რომელ ქვეყანაში

და საზოგადოებაში გვგონილა, რომ მეგობარს ანუ ნათესავ ჰყავსა, კარგია თუ ავი, ამაგებდნენ ან აქებდენ პირის-პირ და ისიც მისს საკუთარ ჭერ ქვეშ? პირველ შემთხვევაში მეგობარი მტრათ გარდაექცეოდა, ხოლო მეორეს ფარისევლობად ჩამოგართმევდნენ. —

მადლობა ღმერთსა, ესლა რუსული ენა ისე არის ჩუენში განვრცელებული, რომ მენახშირეებსაც კი ესმისთ. თუ გონების გაღვიძება და გულისხმიერების გამდიდრება გვინდა, ამ ენას უნდა მივმართოთ; მისი საშუალობით შეგვიძლიან მივიღოთ ევროპიული განათლება; მაშასადამე რუსული ენა დიდ შემწეობას მოგვცემს ჩვენი საკუთარი ენისა და ლიტერატურის აღდგინებაში, თუ ვისმე ნამდვილად სურს ეს აღდგინება. რაც რომ ძველ დროში საბერძნეთმა და მისმა განათლებამ სიკეთე უყო ჩვენ მამულსა, იმ სიკეთეს ესლა რუსული ენა უზამს — მერწმუნეთ. ნუ იტყუვით, ვინც რუსულსა სწავლობს, იმას ქართულისთვს აღარ ეცალებაო. ეს აზრი შეშვენის ზარმაცთა და უნიჭოთა. რომელსაც ქართველს ნამდვილი ნიჭიერება აქუს და შრომა უყვარს, ის არაოდეს არ შეურაცხ-ჰყოფს მშობლიურ ენასა და თუთ იმის სიკეთისათვს შეიძინებს სხუა ენების სწავლასაც. უ. ბროსეც ჩამომავლობით ქართველი არ არის, მაგრამ ხედავთ როგორ ღვაწლსა სდებს მისთვს!

ჩუჱნი ძველებური სწავლა ისეთ მდგომარეობაში არის, რომ თავის თავად, უმაგალითოდ ვერ წავა წინა. მე თვითონ აღვიარებ, რომ კრიტიკა ადრეა ჩუჱნი ჟურნალისთჳს და არცა ჩუჱნი აწინდელი ლიტერატურაა მისთანა სიმტკიცეში. ამიტომ ფიქრშიაც არა მქონია მაზედ კრიტიკის დაწერა. უ. არდაზიანი მაინც კრიტიკას უწოდებს ჩემ სტატიებსა; მაგრამ თუ კაცს არ უნდა, რიყეზედაც ქუას ვერ დაინახავსო. ან იქნება მართლათაც უ. არდაზიანმა არ იცის რა განსხვავება უძევს უბრალო განხილვასა (обзоръ) და ნამდვილ კრიტიკასა, რომელიცა არის გვირგვინი საფუძვლიანის სწავლისა და ხელოვნებისა? მაშ ღმერთმა მიუტეოს უნებლიეთი შეცოდება. ნათქომია, არ ცოდნა— არ ცოდვაო.

შემდგომ ვკითხავ უ. არდაზიანსა: რომლის უფლებით ინება მან და აქა-იქ ამოგლიჯა ჩემი სტატიითგან, უკავშიროდ და უთავბოლოდ სხუა და სხუა აზრები, ანუ ნახევარ-აზრები, უფრო დააბნელა იგინი თჳსის უხეირო თარგმანით და მერმე ზედ დაურთო საკუთარი სასჯელი? განა ეს შეშვენის კეთილ-სინიდისიან მწერალსა? უ. არდაზიანი მალიან თავისუფლად ეკიდება სხვის სიტყვებს და აზრებსა—თვითონვე კიდეც ჰსჭრის და კიდეც ჰკერავს. აჰა მაგალითები:

პირველი ორი სტრიქონი, წვრილი ასოებით დაბეჭდილი, მხოლოდ იმ აზრს აცხადებს, რომ მე

ანგარიშს ვაძლევ მკითხველთა ჩვენი ლიტერატუ-რის «წარმატებაზედ» (წაიკითხე: მ დ გ ო მ ა რ ე-ო ბ ა ზ ე დ). შემდეგომ ამისა უ. არდაზიანი თვ-სად ბრძანებს: «ცხადად ვჰსთქვათ, ეს არის კრი-ტიკა (!?) სასტიკი, უადგილო, უჯერო». არა, მოწყალეო ხელმწიფევ, ეს თქმა ცხადი კი არ არის, მეტიან ყრუ და ბნელი გახლავსთ. ცხადად მაშინ იქნებოდა, როდესაც წარმოგვიდგინათ ნამ-დვილი ჩემი აზრები, კეთილ სინიდისიანათ გამო-გეკრიბათ იგინი და თვითეულად დაგერღვიათ. ეტყობა, ჩემი შრომა უადგილო არ იყო, როდე-საც, დაიბეჭდა და მრავალთა წაიკითხეს, თანახმა და მადლობელნიც გახდნენ. რასაკვირველია, ცრუ-პატ-რიოტებს სიმართლე არ ეჭაშნიკებათ, ამიტომ რომელ საკუთარ სახელოვნობას ეძიებენ და არა საზოგადო სარგებლობასა.

მიკვირს, რომ ფილოსოფია კარგათ გისწავ-ლიათ და ლოგიკაში კი არა გაგიგებიათრა. ერთი მიპასუხეთ, რომელი ლოგიკის კანონით გამოგ-ყავსთ მეორე პუნკტიდამ ეს დაბოლოვება: «გე-გონება, კ ა ვ კ ა ზ ი ს წამკითხველთა იმდენი მზრუნველობა მიგიღიათ, იმდენი შეშწუხობა მიუ-ციათ ც ი ს კ რ ი ს ა თ ვ ი ს, რომ უთუოთ საჭი-რო იყო მოეთხოვათ უ. კრიტიკოსისაგან (!) ანგარიში.» როგორ არ ჰხედავთ, რომ მე თითქ-მის მალ-დატანებით მსურს შევატყობინო ჩვენი საცოდავი ჟურნალის გარემოება მკითხველთა,

რომელნიც გართულ არიან სხვა აზრებითა, ესე იგი რკინის გზებზედ, საზოგადო სიმდიდრეზედ და სხვ.

მესამე პუნკტის შემდგომ უ. არდაზიანი ვრცლად და ბრწყინვალედ აღმოაჩენს თვის ფილოსოფიურ ცოდნასა და მასთანავე, რასაკვირველია, ჩვეულებისამებრ უკუღმა ესმის ჩემი აზრები. ჩემ სტატიებში მე მართალია შევნიშნე, რომ «ცისკარი» ჯერეთ არ ეთანხმება აწინდელს სწავლისა და გონების მდგომარეობასა, რადგანაც არა აქვს მისთანა შემწეობა და არც ქველთ მძღვანელობა; ესე იგი, გამოვხატავდე საგანი ისე, როგორც მდგომარეობაშიაც აწ ნამდვილად არის. აქედამ უ. არდაზიანს ისე გამოჰყავს, ვითომც მე ვითხოვ, რათამცა «ცისკარი» იყოს ეგრეთივე სრული და სამაგალითო, როგორც ერთი რომელიმე სამაგალითო ჟურნალი ევროპიისა (!!). მიკვირს, რადგან ერთხელ მაინც არ მოაგონდა ჩემ მსაჯულსა მეცხრე მცნება: «არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.» ვინ არ ისურვებს, რომ ჩვენში ყოველივე სამაგალითო და ჩინებული იყოს და ვინ გაბედავს დასჯასა ამ სურვილისათვის; მაგრამ რომელი უგუნური განჰკიცხავს ორი წლის ჟურნალსა, რადგან ესრეთი სამაგალითო არ არისო? უ. არდაზიანი შემდგომ, ვითარცა შეშვენის ნამდვილ ორატორსა, დაუმატებს: «ეს შენიშნულობა არის სასტიკი, უსაფუძვლო, უადგილო, უდროო».

ოჰ ღმერთო ჩემო! რა გულ-ფიცხელი კაცის ჴელში ჩავარდნილვარ? ერთს ან ორს ეპიტეტს მაინც მაკმარებდით, დალოცვილო. ოთხი ჩვედი ზედ რაღა იყო, რა გვერდებმა უნდა გაუძლოს. მაგრამ, უნდა მოვითმინო, რამეთუ მსაჯულმა ჩემმა არა იცის, რასა იტყვის; იგი მხოლოდ ენამკვეთრობას ეძიებს და არა სიმართლესა.

ჩუქსას ვინა ჩივის, უ. არდაზიანი «ცისკრის» მკითხველთაც ძალიან უპატივოდ ექცევა. ასე ჰგონია, ახალ-მოსწავლე ყრმათ გელაპარაკებით და ამ აზრით განავრცელებს სხვათა შორის ესრეთ: კაცი ხორციით (თუ სხეულით?) ეკუთვნის ხილულ ბუნებას და სულითკი უხილავსაო; კაცი არა ჰგავს პირ-უტყვთა, ფრინველთა, თევზთა და ქვემძრომთაო (იქნება მძრომლთა?); ამათ რაც ბუნებისაგან მიიღეს, ის იციან,—მეტს ვერარას ისწავლიანო ვერც თავის თავად, ვერც სხვისაგანაო.—აქ კი მოთმინებით, ჩემო ჴელმწიფევ: როგორ თუ არ ისწავლიან? განა არ გვენახვებათ მსწავლულნი დათვები, ცხენები და ძაღლები, რომელნიცა მისთანა შტუკებს აკეთებენ ხოლმე, რომ ფულებსაც კი ჰკრეფენ თჳსის სწავლითა და ოსტატობითა. ზოგი ერთმა ჯაფარამ კარგი ლაპარაკი იცის?... მაგრამ დავანებოთ ამ ღრმა საგანსა და ისევ უ. არდაზიანს მივანდოთ იგი; ჩვენი მოკლე ჭკუა მას ვერ მისწვდება. ძალიან რომ გამოუდგეთ, ვაჲ თუ თავზრუ დავვესხას.

ერთს ადგილსა უ. არდაზიანი კაცის გონებას მიამსგავსებს ალმასსა, ტალახში ჩავარდნილსა (ეჰა საკვირველი მიმსგავსება!) და ამბობს, რომ ვითარცა ალმასს უნდა გათლა, ისე გონებასაო; და მერმე: გონება ვგიან იხსნება—ისიც მალ-დატანებითაო. მაშ მე რაღას მემართლებით ვაყო? თუ გათლა უნდა ჩვენ სწავლასა, თუ მალ-დატანება უნდა, მაშ რათ გეთაკილებათ უმცირესიცა შენიშნეა, განმარტება?...

მე აქ კიდევაც განვამეორებ ჩემ აზრსა, რომ ქრისტიანობის წინათ ქართველებს განვითარებული სწავლა არა ჰქონიათ, მაშასადამე არც ლიტერატურა ექნებოდათ. წინააღმდეგ ამისა უ. არდაზიანი ამბობს: თუ ქრისტიანობამდისაც საქართველოს არ ჰქონიყო განვითარებული (!) ლიტერატურა, ვერც ასე მშვენიერის, დაწმენდილის, ნასწავლის ენით გადმოიღებდენ თავისს ენაზედ საღმთო წერილსაო. ამაზედ გიპასუხებთ, რომ საღმთო წერილის გადმოღებაში ჰსწარმოებდა არა კაცობრივი ჰსწავლა, არამედ უპირატესად უზენაესი მადლი, რომელიცა შეიქმს არა რაისაგან და გამოსცხადდების საკვირველებათა მიერ. მოიგონეთ, რომ ჩვენ ენაზედ საღმთო წერილი გადმოუთარგმნიათ წ მ ი დ ა თ ა მ ა მ ა თ ა, სახელდობ: გ ი ო რ გ ი და ე ვ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ თ ა.

დანაშთენნი შენიშნულებაები უ. არდეზიანისა ლაპარაკათ არა ღირან. ვეჭოფ, ამითიც ხომ თავი

არ შევაწყინე საყვარელთ მკითხველთა; იმედი მაქუს, უ. არდაზიანი შემდგომ ამისა დარწმუნდება, რომ ანბანზედ ცოტა მეტი მისწავლია, თუმცა არა ვყოფილვარ არც ლიცეიში, არცა უნივერსიტეტში და არც აკადემიაში. იქნება თჳთონ უ. არდაზიანი ყოფილიყვეს და განგებ მალავდეს—სიმდაბლისაგამო, აბა კარგათ ჩაიფიქროს. ისკი ვიცით, რომ ზემოხსენებულ სასწავლებლებში არა ყოფილან არც ბესარიონ გ ა ბ ა შ ჳ ლ ი, არც დ ა ვ ი თ რექტორი და არც ბ ა ქ ა რ ქ ა რ თ ვ ე ლ ი; მერწმუნეთ, ვისთჳსცა ღმერთისა მიუნიჭებია ნამდვილი შრომის მოყვარეობა, სწავლის მიდრეკილება და ნიჭიერება, ის უაკადემიოთაც წავა იოლათ.

დასასრულ ორიოთი სიტყვა უნდა ვსთქუა ჰ ა მ ლ ე ტ ზ ე დ. უ. არდაზიანი, რომელსაც ეკუთვნის ეს შრომა, ამბობს გაკვრით, რომ ჰამლეტსი წილი უძევს ორთავე ენებშიაო, ესე იგი საღმთო წიგნურისა და საეროჲსა. მე ვიტყვი, რომ ჰამლეტი არის გადმოღებული მისთანა ენით, რომელიცა არც ამ მთისაა, არც იმ მთისა.—ახ, კეთილო და პირდაპირო მოყვასო ლ. , ნამდვილ ქართველო კაცო! შენ მაგონდები ამ შემთხვევაში: რამდენს შეჩიჩინებოდი—მირით მიროზამდინ განიხილე ჰ ა მ ლ ე ტ ი ო. მე არ გავიგონე შენი რჩევა და ეხლა სინანულშია ვარ. მაგრამ იქნება კიდევაც როდისმე მოვიცალო და დავამტკიცო, რომ უფალმან ჰ ა მ ლ ე ტ ი ს მთარგმნელმა ქართული

ფრიად სუსტად იცის და არ მიემსგავსება, იმ «მომშვტვენოთა, ნაზი ყურები რომ აქუსთ» (*).
და ესრეთ მშვიდობით, მეორე შემთხვევამდის!

ნიკოლაოზ ბერძენოვი.

სექტემბრის 24-სა. 1859 წ.
ტფილისში.

---

(*) ნამდვილი ლექსი უ. არდაზიანისა.

# ჩუენი საქართველოს

## საზოგადოება (*)

უწინდელი ჩუენი საქართველოს საზოგადოება იყო იმ მდგომარეობაში გარემოებისა-გამო, და მხოლოდ ამისთჳს იყვნენ გაერთებულნი: ჩუენი მამული მაჰმადიანთ არ წარტყუენით. ამაში იყვნენ გართულნი ერთის პირზედ, რომ სხუა კეთილმდგომარეობისათჳს არარა სცალოდათ; ვაჭრობა ფაბრიკა ანუ სხუა რამე შესამატი საკეთებელნი. ამაზედ ისინი არ დაიმაშვრებიან, ამისთჳს რომ თჳსსავ ყუთხის ეხვიათ მტერი და მოუსვენად ებრძოდნენ მტრების მოსიერებას, მაგრამ ახლა, სად არა საზოგადოებისა ჩანს ჩუენს ქვეყანაში; კარგი რამ იზრუნონ ანუ კეთილი რამ საქმე, რომელნიცა უმიზეზოდ გვქვნით ერთმანეთისა მტრად, ვართ მოშურნენი ერთმანეთისა და სასიამოვნოთაცა გვაქუს

(*) ამ სტატიის ავტორმა აღგვითქუა, გამოგზავნა ვრცელად ცხოვრების აღწერისა თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკისა, რომელსაცა დავბეჭდავთ მალე დიდის მადლობითა. რ.

ეს ამ გვარი ჩუენი ქცევა. საზოგადოდ ვგრძნობთ ამას ჩუენ შეცდომებით, მაგრამ მაინც კიდევ ჩუენსასა ცოდვებით და ჩუენი სისუსტე ვერ მოგვაშორია. სულის და ხორცის სავნებელია.

ჩუენს ყმაწვილებს რუსეთის ყოველგვართ სამოცა წელიწადი, იქიდგან აქამომდე, რაოდენს კაცს მაგალითებსა ვხედავთ აწინდელის დროებისა: ვაჭრობისას ანუ შემაცდენისას? მაგრამ ვერა ვისწავლეთა და შორს დავრჩით ყველაზედ. ნუ გვგონია კარგი იყოს ეს, არა, ეს ამ გვარი ჩუენი ყოფა ცხოვრება ანუ ქცევა, იმას მოასწავებს, ბოლოს ახე გავღარიბდებით, რომ ღარიბ გლეხ კაცებზედ უფრო მომაცდებით, თუ ვაჭრობისათვის არას ვფიქრებთ და სხვის შესამეცხსა კარგსა. მივიხედ-მოვიხედოთ, თვალი გადავავლოთ, რას დავინახამთ პირველად? საკვირველის საქართველოს სომხებს!—დავიჯეროთ ყველამ, ყოველთ ჩუენც ისე უნდა მოვიქცეთ, თორემ უცილოდ დავრჩებით ყველანი და ბოლოს იქნება კიდეც გავწყალდეთ.

ამ ჩემს წიგნის ლაპარაკზე ნუ გამიწყრებით: რადგანა, საზოგადოდ და საშვილიშვილო ალარა გვიჩანსრა, ალარავერა კარგი, თუ დრო გაუცდენელივ საზოგადოებისათვის არას ვიფიქრებთ კარგს რასმე, ნამეტნავად ამისთანა

განათლებულის სახელმწიფოს ხელ-ქუეშ, რომელიცა ჩუენთჳს ზრუნავს დიდად.

ზოგიერთს შემთხვევაში, ცოტად კიდევ გვიყვარს მამაპაპეურად ქცევა, იმათებურად ჴელოვანებით ცხოვრება და გულისხმობა, მაგრამ ეხლა აღარ ვიცით, მაშინდელი დრო სხვა იყო და ახლანდელი დრო სხვა არის, მაშასადამე, დროს მიხედვით უნდა ვიქცეოდეთ ყოველნი. ამას ჩუენ ვერ მიხვდებოდით, ნამდვილი საკუთველი რა არის, ჩუენი შემეცნებისა, ანუ სწორედ ვსთქვათ ჩუენის კეთილმდგომარეობისა? ამ საგანს მიხვდებოდით, ერთი ჩუენი პატივცემული გვამი თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი, რომელიცა ამ თხუთმეტის წლის წინად, იმის მამის გარდაცვალების შემდგომ, ჯერ ოთხს ნაწილად გაიყვეს მამა პაპის ყმა და მამული: ოთხმა ძმებმა, მესამე ივანეს ბიძაშჳლმა და უფროსის ძმის შჳლმა თჳთ იმ ივანე მუხრანსკიმ, მასუკან ამ ივანემ და ამისმა ოთხმა ძმებმა გაიყვეს, ხუთ ნაწილად თავიანთი ერთიანი ნაწილი, მაშასადამე მთელი მამაპაპის ყმა და მამულის ოცი წილიდგან მეოცედი ნაწილი რგების, რომელსაცა ამ მეოცედის ნაწილიდგან ჰქონდა შემოსავალი თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკის, ორმოცი თუმანი, გაყრის შემდეგ ამ თხუთმეტის წლის წინად.

რა ეგონიათ? ამ თხუთმეტს წელიწადში, თავისი ორმოცი თუმანი, რავდენ შემოსავლად აიყვანა თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკიმ? სამი ათას თუმანზე მეტად ჩვენი ქართველის კაცისაგან დიდი საქმეა ეს!

იმისი შრომის დამნახაობა, იმისი მალე მიხვედრა საქმისა, იმისი დაულალავი ცდა საქმეში, იმისი დამტკიცებითი და საამო უბნობა, იმისი მხიარული დარბაისლობა, იმისი მართებული თანასწორე ქცევა, იმისი ძლიერი მოთმინება გაჭირებულს საქმეში, უყოყოდ შესრულება საქმისა; ხოლო გამორჩეულის კარგის ანგარიშით და და-ხრული, იმისი ბევრი კარგი თვისება, ანუ ხასიათი; ამაებით წარჩინებული კაცად ითქმის თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი.

როდესაც ეს პატივცემული გვამი, ჯერეთ ყმაწვილი კაცი იყო, ახალი პრაპორშიკი, მართალია ამას დიდი კაცის შვილობაც შესწევდა, მაგრამ უნამეტნავესი ღირსება ყველასათვის: ნიჭი!

ახალი პრაპორშიკი ესე ივანე, როდესაც რუსეთიდგან მოვიდა, მაგდენი ხანი აღარა გამოვიდარა, მთავარმართებელს ბ. რ. დაუახლოვდა, რომელსაც პოხოდებში ემსახურა გამოჩენით და, რომელიმაც ამისგამო უფრო დაიახლოვა. აქედგან დაიწყო ახალი ცხოვ-

რება მოსაწონი. თ. ივანე ბაგრატიონ მუხ-რანსკიმ შეირთო დის დიდი კაცის ქალი ცოლათ, მისცეს კარგი მზითევი. ტკ. ქალა-ქზე ცოტა მოშორებით, დიდის სოფელში დაუხვედრა საცხოვრათ, მზათ გაწყობილი სახლი, ღირსებულის ქალის, თავის მეუღლეს, როგორიც იმ ქალის დიდიკაცის შვილობას შეეფერებოდა, სწორედ იმისთანა. ხშდა სავე-რი სავერს.

ამ დიდი კაცის ქალმან ნ. დიდს სახლში გაზდილმა ნებიერად, აქ დაუტევა ყველა, მიბაძა ქმარსა, შეუდგნენ ორნივ სახლის პატრონობას და შემატეს სახლსა დიდათ.

იმ დაწყებიდგან აქამდისინ, რომ ვთქვათ ყველა თ. ივანეს ანბავი მეტად ვრცლათ მოვა, ამისთვის დავემცილოდ ვიტყვით და აქა-იქ გამორკვევით.

თ. ივანემ იყიდა გარეთუბანს მამული, რა-ზედაც აშენა კარგი შემოსავლიანი დუქ-ნები; შეიქნა პოლკის კომანდერი, შეიქნა გენერალი, მისცეს ატრიადი ოსმალოს ომების დროს, მისცეს დევიზიაც; აშენა მშვენიერი შემოსავლიანი სახლები, გამო-იხსნა გარდაცვალებულის სანატრელის თავის უშვილოს ძმისა ყმა და მამული, რომე-ლიცა დაგირავებული იყო სხვებთან და თავისად დაიმკვიდრა. კიდევ თავისმა ორმა

ძმებმა გ. და მ. მიიღეს თავიანთი წილი ყმა და მამული, რომელსაცა ჰფლობენ და მატყებს ბევრს კარგს. ამ ორ ძმათაგან ერთი მ. ცხოვრებს რუსეთში და ღვას თავის ცოლის ყმა და მამულზე. ამის ძმას გ. ვძრახავდით: ამან რადათ გაყიდა თავისი წილი ყმა და მამულიო, მაგრამ როგორც გ. მოიქცა სწორედ დიდ სულიოვნობას და დიდ გონიერებას მიეწერება, ამისთვის რომ ჯერ პირველათ შემატა დიდს შრომის მოყვარეს ანუ საგანგებოს სახლის პატრონს თავის ძმისა თავისი წილიც, რადგან ამით უფრო შემძლებელი იქნებოდა თავის მეუფრობისე ძმა ი. ვითარცა უწინდელს დროს იყო ხოლმე: ერთი სახლის უფროსი, იყო მთელის სახლის მართველად. დიდსასმოქალაქოს სამსახურში იმყოფება გ. და კარგი ჯამაგირიცა აქვს, მაგრამ უფრო პირველი მიზეზი ეს იყო გ. რომ თავისი წილი ყმა და მამული თავის ძმას ი. დაუთმო. თვით გ. გამიგონია: ბევრით სჯობია ერთი იყოს სახლში შემძლებელი, სახლის მდიერებისათვის, რომ სახლი არ დაეცეს. ეს სიტყვა მძროვასია და დიდათ მოსაწონი.

ეს ხომ ითქვა, ახლა იმასვე ვიტყოდეთ რომ ცოლქმართი ი. და ნ. არ მისცდეს ეხლანდელსა ხოველიურსა დიდსა ცხოვრებასა,

რომლის მიზეზით ვალებში ვართ ჩავარდნილი და ვცხოვრებთ ძნელად.

ძველად ვიტყვი, არ მისდევს იმ დიდს ცხოვრებასა ი. და ნ. და აკმარეს ზომიერი ცხოვრება, რადგანაც წესში არა ჰქონდათ თავიანთი სახლის მდგომარეობა კიდევ.

მამულის შემოსავალი წესში რომ მოიყვანეს, როდესაც ქალაქის სახლები ანუ დუქნები კარგს ფულს მოსცემდნენ ხოლმე, მაშინ მოიწადინეს, მხოლოდ ერთის თავის შვილისა შერთეს ცოლი, დიდის სახლიდგან, ძველად სახლში ერთი, ჩინებულის ყმა და მამულით და ქალაქში გამოჩენილის სახლებით. ეხლა ერთიანი ეს სახლობა ცხოვრებენ უცხოთ, ევროპიულის გაწყობილის საუცხოვოს სახლებში, ხან ქალაქში და ხან სოფელში, რომელთაცა სამი საგანი აქვსთ ამათ ცხოვრებასა: პირველი, ძველად უფრო შემატება, მეორე, თავიანთ მახლობლებთან კეთილად ცხოვრება და მესამე, გარეშეთა უნაკლულო პატივისცემა, ყველას თავის შესაფერი. ევროპიელის ღრმა გონიერს კაცად ითქმის თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკი.

მოწყალენო ჴელმწიფენო! დრო არის ამ კაცს თ. ივანეს სრული ჩუენი გონება მივაქციოთ; მივმართოთ ამას, ამას დაუახლოვდეთ

თუ ამაზედ სამდურავი გვაქვს ვისმე, ყველა დავივიწყოთ. მე ამას კარგათ ვიცნობ; ამის დასხლოებით, კარგს შევიძინებთ, ბევრს შევიმატებთ და ბოლოს მადლობელნი ვიქნებით ამისა.

ხომ ჰხედავთ, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის მეტი აღარა არისრა, აღარც თოფი და აღარც ხმალი, — ვმადლობ ღმერთსა! მაშასადამე, სადაც მშვიდობაა, იქ რა არის საჭირო? — სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აყვავილებული, გამამდიდრებული კაცის. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა გვქონდეს ეხლა და ეს აზრი საზოგადოთ, ამისთვის ჴელით მძღვანელი უნდა გვყავდეს ვინმე ყოველთ, ესები გვასწაოს და დაგვაყენოს გიდეც, ამ ხსენებულთ საგნებზედ, თორემ მხოლოდ ჩვენის ცალცალკეს ყოვნისხმოს თავით, ჩვენის ლითონის ცრობასის ლაპარაკით და ჩვენი განზე სიარულით თავ მოწონებით, რა იქნება ჩვენთვის? სული არაფერი. მაშ გვიპოვია კაცი და მივმართოთ მას.

იქნება იფიქროს ვინმემ, ნათესაობისაგამო უწყერდე მე აქ ლორისყებას თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკის? არა! ვინც მახლობლათ მიცნობს მე, ისინი არ იფიქრებენ ამას. ამისთანა განსჯაზე ანუ სხვა რამე საქმეში, სული ერთი არის ჩემთვის ჭეშმარიტად!

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

# მარილის მოხმარება

## საქონლისათვის.

მარილის მოხმარება საქონლის საჭმელათ არის მიღებული მრავალის მებატონეთაგან. თუმცა იყვნენ მებატონენი, რომელნიცა ამტკიცებდნენ რომ მარილი არ არის საჭირო საქონლისა, რომლის გამოისობითაც ბელგიის ქალაქში იყო შეკრებულება სწავლულთა კაცთა, სადაც დაარწმუნეს რომ მარილის მოხმარება საქონლისათვის არის ძალიან მარგებელი. ანგლიაში და გერმანიაში დიდი ხანია რაც აჭმევენ საქონელსა მარილს, აგრეთვე რუსეთში, მხოლოდ საქართველოში კი არ არის ისე მიღებული მარილის ჭმევა საქონლისათვის, როგორც სხვაგან.

გამოჩენილმან სწავლულმან ბუსსენგომ დასამტკიცებლად ამისა დაიწყო გამოცდილება, რომელშიაც იპოვა რომ მარილი არ მოუმატებს საქონელს ხორცსა, არც სიმსუქნეს და არც რძეს, გარნა დიდად მარგებელია. ამის

ერთნაირს საჭმელს აჭმევდენ, ხოლო გარჩევა ეს იყო რომ სამს მარილსა და სხვათ სამს არა. შემდგომ რაოდენიმე ხანისა შეატყვეს პირველს სამს, რომელსაც აჭმევდენ მარილსა, ჰქონდათ ბალანი სწორეთ დაწყობილი; მეორეებს რომელსაც არ აჭმევდენ მარილსა ბალანი მიუგავდათ ჯაგარსა და იყო ბუსუს-აშვებული. ერთს წელიწადს შემდეგ უფრო ძალიან შეეტყოთ და ირჩეოდნენ ერთმანეთში. პირველს სამს, რომელსაც აჭმევდენ მარილსა ჰქონდათ ძალიანი ვარგი შეხედულობა, თითქო მხიარულათ არიანო. მეორე სამს ცხოველს ზოგიერთს ადგილს რგვალად ჩამოსცვივოდა ბალანი და რაც დარჩომოდათ უგავდა ჯაგარსა და ამის მიზეზით პირველი სამი უფრო ძვირათ იფასება, მინამდისინ მეორენი.

მარილი არ უმატებს ხორცსა, უმატებს გემოვნებასა, საჭმლის მონელებას; აძლევს ბევრს წყალს, რომლის გამოისობითაც ემატება რძე და უკეთებს თვისებას ცხოველს.

თ. დ. ხიმშიევი.

---

# Განცხადება.

მომავლის 1859 წლის, ცისკარი ჩუენი გადა-დგება მეოთხე წელიწადში. ვითარის წარმატებით ანუ ნაკლულევანებით გამოდიოდა ჟურნალი ესე, იციან უკეთ პატივცემულთა მკითხველთა, — მამასა-დამე მომატებულ იქნება და უალაგო ჩუენებით განმეორება მის, რაც რამ შეეხება სამის წლის ნაყოფს. თხოვნა საზოგადოებასთან და ამასთანავე სარგებლობის მოცემა ამ საზოგადო სასარგებ-ლოს საგანისაგან, აგრეთვე იქნებოდა მომატებულ, გარნა განუცხადებთ ცისკრის მკითხველთა, რომ უპირველესნი მწერალნი ჩუენნი, როგორც წარ-სულს ჟურნალებში გვეწეოდენ თავიანთის მშუე-ნიერ თხზულებით, ახლაც უმეტესს იმედს გვაძლევენ. ამ პატივცემულთ მწერალთ მონაწილეობა, გვიდ-გება თავდებათ რედაქციასთან, რომ ჟურნალი ჩუე-ნი მომავალს წელს გამოვა უკეთ, განვრცელე-ბით და განმშვენიერებით, რომელიცა შეიცავს თჳს შორის შჳდს ნაწილს: 1) ძველს ნამდვილს [illegible]

დელთა და ახლანდელთა მოლექსეთა, 4) ჰსწავლასა და ჴელოვნებასა 5) მსუბუქს გარჯვასა, 6) სოფლიურსა სახლოსნობასა და 7) სხუა და სხუა ამბავსა. მხოლოდ თქუენ მკითხველნო! ყოველი იმედი წარმატებისა და ამ სახით გამოცემისა თქუენზედ არის დამოკიდებული. იცით, რომ ყოველს საგანს ღონის ძიება უნდა. უმეტესად ახლად დაწყებულს საქმეს.

ფასი დამთებისა იგივე შვდი მანეთი.

---

## სხუა და სხუა ამბავი.

---

—ამ წარსულს წელიწადში, თებერვალის თვეში, ანგლიაში ს. გლამორგანშირს, რომელიცა ეკუთვნის ანგლიჩანს ნივსონს, მოვიდა მრიელი წვიმა, რომელთანაცა ჰსცვიოდა დაღრუბლულის ჰაერითგან აურაცხელი წვრილი-წვრილი თევზი. ამ წვიმის მოსვლის განმავლობაში უბერავდა სასტიკი ქარი. ესე თევზნი იყვნენ ცოცხლად რამდენიმეს ხანს წყალში. ზოლით და ფერით ჰქონდათ მოთეთრო.

# სხჳა და სხჳა ამბავი.

რედაქციისაგან განცხადება.—წვიმასთან თევზის მოსვლა ანგლიაში.

---

## ხელი მოეწერება

## 1859 წლისა.

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის «ცისკრის» რედაქ-ციაში, კუკიას, პეტრესელიძის სახლებში.

ფასი ერთის წლის გამოცემისა, ქ. ტფილისში გაუ-გზავნელად ექჳსი მანეთი, ხოლო შინ მიწოდებით ანუ სხჳა ადგილებში გაგზავნით: შჳდი მანეთი თეთრი ფული.

Печатать позволяется. Сентября 23 дня, 1859 года.
Испр. должн. Груз. Ценсора Св. Алексѣевъ.